საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 10 ივლისი, 2013 წელი.

№128 (7255)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

როგორი უნდა იყოს საფლეისოდ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ③ ძირითადი პრიორიტეტები?



ხუმტურებით შექმნილი ⑦ არქიტექტურა

ნაბუკრ მოკვდა, გაუმარჯოს ტრანსადრიატიკულ გაზსადენს!

④

„საუკუნის პროექტი“ არარენტაბელურობის გამო შეჩერებულია

სააკაშვილის დედისგან ტექნიკური უნივერსიტეტის ქონების დაბრუნებას ითხოვენ! ⑥

საქართველომ რუსეთთან ანგარიში გაასწორა ⑧

ყოფილ სამხედრო ეჭიმს ცრუ ჩვენების მიცემას აიძულებდნენ ⑦

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ კანონმდებლები

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია თვის ბოლომდე შეიქმნება

პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადებით, კონსტიტუცია, კანონი, ის ჩარჩოა, რომელშიც პოლიტიკურმა ძალებმა საკუთარი პოლიტიკური შეხედულებები უნდა მოაქციონ.

— საქართველოში პოლიტიკური პროცესი ცივილურ ჩარჩოში უნდა მოექცეს და ასე უნდა ვიცხოვროთ, იმის მიუხედავად, თუ რას ვფიქრობთ ერთმანეთზე და რას ფიქრობს ჩვენზე ხალხი, — აღნიშნული განცხადება უსუფაშვილმა პრესკონფერენციაზე გააკეთა, სადაც ის საგაზაფხულო სესიის შედეგებს აჯამებს და ჟურნალისტებს რიგგარეშე სესიაზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციას აწვდის.

ამასთან, პარლამენტის თავმჯდომარემ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს, მასსა და უმცირესობის ლიდერ დავით ბაქრაძეს შორის რამდენიმე დღის წინ გამართულ კონსულტაციებზე ისაუბრა. ამ მოლაპარაკების დროს დასმულ საკითხებზე საუბრისას, უსუფაშვილმა აღნიშნა, რომ თვის ბოლომდე შეიქმება სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია, რომელიც ფუნდამენტურ საკონსტიტუციო ცვლილებებზე ერთი წლის განმავლობაში იმუშავებს.

მისივე თქმით, შედგა მსჯელობა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის პროცესში გაკეთდება ყველაფერი, რათა არჩევნები სამართლიანად და თავისუფლად ჩატარდეს.

გარდა ამისა, კონსულტაციებისას საუბარი შეეხო ამნისტიის თემას, რომელიც გასულ წელს გამოცხადდა და საკუთრივ წინასაარჩევნო პერიოდში კონტროლის პალატის მიერ გატარებულ ზომებს შეეხო. „შევთანხმდით, რომ ეს ამნისტია უნდა შესრულდეს ყველა პოლიტიკური ძალის მიმართ“, — აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.

◎ ალიან-ჩალიანი

პატიმრებისგან სტრასბურგის სასამართლოში საქმეები პრაქტიკულად აღარ შედის

არჩევნების შემდეგ, პატიმრებისგან სტრასბურგის სასამართლოში პრაქტიკულად საქმეები აღარ შედის, - ამის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა სასტუმრო „ჰოლიდეი ინნში“ ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის „ადამიანის უფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში“ პრეზენტაციისას განაცხადა.

მისივე განმარტებით, ქართველი პატიმრებისგან სტრასბურგის სასამართლოში თითზე ჩამოსათვლელი საჩივრები შედის, რაც განხორციელებული რეფორმების დამსახურებაა. თეა წულუკიანის თქმით, საჩივრების შემცირება გამოიწვია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებებში გადადგმულმა ნაბიჯებმა, ასევე შს სამინისტროს დროებითი დაკავების იზოლატორში გახორციელებულმა რეფორმებმა და პარლამენტის მიერ გამოცხადებულმა ფართომასშტაბიანმა ამნისტიამ.

— ამ ამნისტიას ბევრი კრიტიკა მოჰყვა, მაგრამ მე მას დღესაც მივესალმები. რა თქმა უნდა, ალბათ, იყო რამდენიმე თითზე ჩამოსათვლელი ადამიანის შეცდომა, მაგრამ რამდენიმე ადამიანთან დაკავშირებულ სავარაუდო შეცდომას, ალბათ არ უნდა გადავაყოლოთ ის მრავალი ადამიანი, რომელიც იმსახურებდა გარეთ გამოსულიყო. ჩვენ ვართ ის ქვეყანა, რომელმაც პირველად გაბედა და გამოიყენა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის კრიტერიუმები პოლიტპატიმრებთან დაკავშირებით. არ შეიძლება ამ გამბედაობას არ მიესალმო, როდესაც ხარ ის მთავრობა, რომელიც ადამიანის უფლებებისთვის იბრძვის, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

პრეზიდენტის მიერ წლეულს შეწყალებული პატიმრების 4% საპატიმროებში დაბრუნდა

ამის შესახებ საქართველოს სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა სოზარ სუბარმა სასტუმრო „ჰოლიდეი ინნ“-ში ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

მისივე ინფორმაციით, ამნისტიისა და პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებულ პატიმართა უკან საპატიმროში დაბრუნების მაჩვენებელი გაცილებით დაბალია.

—დანაშაული ხდებოდა ყოველთვის. რატომღაც ასეთი ტენდენცია შეინიშნება ბოლო პერიოდში, რომ თუკი რაიმე განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ხდება, რომელიც საზოგადოების ყურადღებას იპყრობს, მაშინვე ხდება აპელირება, თითქოს ეს ამნისტირებულმა პატიმრებმა ჩაიდინეს, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში ეს ასე არ არის. ზოგადად, პრეზიდენტის მიერ წლეულს შეწყალებული პატიმრების დაახლოებით 4% უკან დაბრუნდა, მაშინ როცა ამნისტიითა და პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებულების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი გაცილებით დაბალია. კერძოდ, ამნისტიის შედეგად გათავისუფლებულების 2%-ზე ნაკლები, ხოლო პირობით ვადამდე გათავისუფლებულების 1,5% უკან საპატიმროში დაბრუნდა, — განაცხადა სოზარ სუბარმა.

ინტერპრესი

◎ მთავარი პროკურორი

კბილაშვილი ნებისმიერ დროს მზადაა გადადგომისთვის

როგორც კბილაშვილმა შესაბამის საკითხზე კომენტირებისას ჟურნალისტებს განუცხადა, მისი თანამდებობა „დროში გაწელილი არ არის“.

— ხშირად ვისმენ მსგავს მოსაზრებებს. ჩემი თანამდებობა დროში გაწელილი არაა, ანუ მთავარი პროკურორის დანიშვნა მოქმედი კანონით ხდება იუსტიციის მინისტრის წარდგინებით და პრეზიდენტის გადაწყვეტილებით. ეს შეიძლება მოხდეს ნებისმიერ დროს — დღეს, ხვალ, ერთი წლის, ან 10 წლის შემდეგ, არასდროს-თქო, არ ვიტყვი, რადგან ყოველთვის ხდება. მე პირადად ყოველთვის მზად ვარ, ნებისმიერ დღეს, რომ ასეთი გადაწყვეტილება დადგეს და ამის არანაირი პრობლემა არ არის, — განაცხადა არჩილ კბილაშვილმა.

რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას, რომ მთავარი პროკურორის თანამდებობაზე ზაქარია ქუცნაშვილის, ლაშა ნაცვლიშვილისა და მაია მწარაიშვილის კანდიდატურები განიხილება, არჩილ კბილაშვილის შეფასებით, ჯერჯერობით ეს „სასიამოვნოდ მოარული ამბავია, რომელიც ყურს, სმენას და საზოგადოებას ახალისებს“.

რაც შეეხება სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების გადაწყვეტილებას, კბილაშვილი აღარ დაუბრუნდება.

როგორც კბილაშვილმა პრემიერ-მინისტრის შესაბამის თხოვნაზე კომენტირებისას განაცხადა, საპროცესო კანონი აღნიშნულის შესაძლებობას არ უშვებს, რის გამოც დარჩება ის გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია.

მისივე განმარტებით, ბედუკაძესთან დაკავშირებით მის მიერ გამოცხადებული საქმის კურსში არც პრემიერი და არც მთავრობის სხვა წევრები არ ყოფილან.

— ესაა კანონით კონკრეტულად მთავარი პროკურორის მიერ მისაღები გადაწყვეტილება. მას წინ უძღოდა თათბირი ჩემს კოლეგებთან, მაგრამ ეს არ ყოფილა პოლიტიკური გუნდის მსჯელობის საგანი, მათ შორის, საქმის კურსში არ იყო არც იუსტიციის მინისტრი, — აღნიშნა მთავარმა პროკურორმა.

კბილაშვილმა განაცხადა, რომ ლადო ბედუკაძემ პატიმრების წამების ამსახველი ვიდეომასალა გასავრცელებლად 2011 წლის სექტემბერში გადასცა, პროკურორს არ დაუკონკრეტებია, ვის გადასცა ვიდეომასალა ბედუკაძემ, თუმცა ჟურნალისტებს პერიოდზე ყურადღების გამახვილება სთხოვა.

— 2011 წლის სექტემბერი ის პერიოდია, როდესაც საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში რაიმეს შეცვლის პერსპექტივა და იმედიც კი არ ჩანს, რადგან შეგახსენებთ, რომ ივანიშვილმა განცხადება საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობისა და ხელისუფლებაში მოსვლის თაობაზე ოქტომბერში გააკეთა. ანუ, როდესაც ბედუკაძემ ამ მასალის გადაცემის გადაწყვეტილება მიიღო, არ შეიძლებოდა ჰქონოდა გათვლა პოლიტიკურ შეღავათზე, რაც შეიძლებოდა აღქმულიყო ქვეტექსტად, რომ მან ხელსაყრელ დროს ხელსაყრელი ნაბიჯი გადადგა. ამას აქვს ჩვენთვის მნიშვნელობა, რათა შევაფასოთ ადამიანის მოქმედება, — განაცხადა კბილაშვილმა.

მთავარმა პროკურორმა ვრცლად ჩამოთვალა ის არგუმენტები, რომლებიც ბედუკაძის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო. მისი თქმით, ვიდეომასალების გავრცელებით ბედუკაძემ პრაქტიკულად „შაჰიდის ქამარი“ შემოიჭირა.

— მან საკუთარი თავი დაუქვემდებარა 30 წლით პატიმრობას ციხეში, დიდი ალბათობით იმავე მეთოდებით, როგორიც დასკვნაშია აღწერილი. მან კარგად იცოდა, როგორ ისჯებოდნენ ადამიანები, რომლებიც სისტემას აუმხედრდებოდნენ. ეს საფრთხე იყო მისი ოჯახის მიმართაც და ვერ ექნებოდა გათვლები, რომ პროკურორი გახდებოდა არჩილ კბილაშვილი და ის პოლიტიკურ შეღავათებს მიიღებდა. ამასთანავე, ამ ადამიანს არ უვაჭრია ამ ვიდეომასალით, ფული არ გაუკეთებია, არ გამხდარა კომერციული სპეკულაციის საგანი და ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, როცა ამ საკითხზე მსჯელობას შევუდექით. ამ არგუმენტების საფუძველზე, ხანგრძლივი განხილვის შედეგად გადაწყდა შეღავათის განსაკუთრებული ზომა მის მიმართ, — აღნიშნა მთავარმა პროკურორმა.

ვლადიმერ ბედუკაძემ პატიმართა წამების ამსახველი კადრები გასავრცელებლად გიორგი ლომიას გადასცა, — ამის შესახებ თავად ბედუკაძემ განაცხადა მთავარი პროკურორის განცხადების შემდეგ.

მისი თქმით, ეს საიდუმლო ინფორმაცია არ არის და ამის შესახებ განცხადება სასამართლოშიც გააკეთა.

— ჩვენ ერთად ვეძებდით გზებს ამ კადრების გამოსააშკარავებლად და ქვეყნიდან გასატანად. ეს ადამიანი დღეს თავისუფალია და არის პარტია „პატრიოტთა ალიანსის“ გენერალური მდივანი. მასალის გადაცემა მოხდა 2011 წლის სექტემბერში, თუმცა შემდეგ მისი გავრცელება ვერ მოხერხდა, — აღნიშნა ბედუკაძემ.

რაც შეეხება პრემიერის კრიტიკას, არჩილ კბილაშვილის შეფასებით, ბიძინა ივანიშვილის პოზიცია არის მორალის მაღალი სტანდარტიდან გაცხადებული პოზიცია.

— მე მასთან ორი-სამი დღის წინათ მქონდა საუბარი და არგუმენტები, რომლებიც ახლა თქვენ მოისმინეთ, გავაცანით მასაც. მისი პოზიცია ისეთია, რომ წამება არის დანაშაული, რომელიც არ შეიძლება შეწყნარებულ იქნას. არ შემიძლია, მის აზრს პატივი არ ვცე, რადგან ეს არის მორალის ზედა ზღვარი, მაგრამ მე ჩავთვალე, რომ ამ შემთხვევაში ძალიან მაღალი მორალური სტანდარტის გამოყენება არ უნდა მომხდარიყო და სამართლიანი იქნებოდა ის გადაწყვეტილება, რომელიც მივიღე, — აღნიშნა კბილაშვილმა.

პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა არჩილ კბილაშვილს ბედუკაძის საქმის გადახედვის თხოვნით ორი დღის წინ მიმართა.

ავთანდილ ბექაური

◎ ალოობა

ხორბლის უხვ მოსავალს ელოდებიან

„მარნეული აგროში“ მარცვლეული კულტურების აღების სეზონი დაიწყო. როგორც „ინტერპრესნიუსს„ კომპანიიდან აცნობეს, წელს ხორბლის რეკორდულ მოსავალს ელოდებიან.

120 ჰექტარი მინდვრიდან „მარნეული აგრო“ 450 ტონა ხორბლის მიღებას გეგმავს. მოსავლის აღების სამუშაოები რამდენიმე დღის წინ დაიწყო და ერთ ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობამ 7,5 ტონა შეადგინა. კომპანიაში განმარტავენ, რომ აღნიშნული მაჩვენებელი ქვეყანაში არსებულ 2,5 ტონიან საშუალო მაჩვენებელს 4-ჯერ აღემატება.

— ხორბალი 120 ჰექტარზე, მათ შორის, თელეთის (75 ჰა), გარდაბნისა (5ჰა) და ყულარის (40 ჰა) მინდვრებზეა დათესილი. თელეთში არსებული კლიმატისა და მდგომარეობის გათვალისწინებით — ტერიტორია თითქმის ურწყავია, მოსავლიანობამ ჰექტარზე 3 ტონა შეადგინა, გარდაბანში აღნიშნულმა მაჩვენებელმა 5 ტონას მიღწია, ეს იყო საცდელი განსხვავებული ჯიშის ხორბალი, ხოლო ყულარში სასწაული შედეგი მივიღეთ — ჰექტარზე 7,5 ტონა, რომელიც მოსავლის აღების ბოლომდე შენარჩუნდება. ხორბლის წლევანდელი მოსავალი კომპანიისთვის განსაკუთრებული აღმოჩნდა — 1 ჰექტარზე 7,5 ტონა ეს უკვე რეკორდულია, რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს 4-ჯერ აღემატება„„ — აღნიშნავს „მარნეული აგროს“ დირექტორი გიორგი დალაქიშვილი.

კომპანიაში განმარტავენ, რომ სწორად შერჩეულმა ხორბლის ჯიშებმა, დაბალანსებულმა გამოკვების სისტემამ, დროულად მორწყვამ და მიზანმიმართულმა აგროტექნიკურმა ღონისძიებებმა შედეგი გამოიღო.

„მარნეული აგრო“ აღებული ხორბლის მოსავლის დიდ ნაწილს ჰოლდინგში შემავალ „თელეთის ფერმაში“ საქონლის გამოსაკვებად გამოიყენებს, დანარჩენს კი რეალიზაციაში გაუშვებს. კომპანიაში წელს სიმინდის სერიოზულ მოსავალსაც ელოდებიან.

ინტერპრესი

ცვლილებათა გზაჯვარედინზე

როგორი უნდა იყოს სადღეისოდ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ძირითადი პრიორიტეტები?

რაზე მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს მეცნიერება, მართალია, მცირერიცხოვან, მაგრამ განსაკუთრებულად მდიდარ სამწიგნობრო და სამეცნიერო წარსულის მქონე ქვეყანაში?

ამ თითქოს მარტივ კითხვაზე პასუხის გაცემა საკმაოდ ძნელია. პირადად მე მიმაჩნია, რომ ჩვენს ქვეყანაში, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია ერთიანი სამეცნიერო სივრცის შექმნა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ქვეყანაში არსებული ყველა კვლევითი დაწესებულება და მეცნიერებასთან დაკავშირებული ყველა ფიზიკური პირი.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მეცნიერება ძვირადღირებული ფუფუნებაა და მისი სრულყოფისა და განვითარების ეფექტიანი საშუალებები მხოლოდ დიდ და ძლიერ ქვეყნებს აქვთ. ამ დებულებაში ჭეშმარიტების ელემენტი არსებობს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ პატარა ქვეყნების მეცნიერული პოტენციალიც საერთაშორისო დონეზე ძალზე შთამბეჭდავია. მაგალითად, საქვეყნოდ ცნობილი ფირმა „ნოკია“, რომელსაც 20 მილიარდი ევროს წლიური ბრუნვა აქვს, ფინეთის კუთვნილებაა, რომლის მოსახლეობაც 5,1 მილიონია და რევოლუციამდელ რუსეთში ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ რეგიონად ითვლებოდა. ამგვარადვე: დანიური კომპანია „ნოვოზაიმი“, რომელიც ფერმენტებს აწარმოებს და რომლის წლიური შემოსავალი 2 მილიარდი ევროა, ასევე მცირე ქვეყნის საკუთრებაა. ამ სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება...

რამ განაპირობა ამ ქვეყნების ლიდერობა განსაკუთრებულად პრიორიტეტულ ტექნოლოგიურ დარგებში? ცხადია, უწინარესად — მეცნიერების მაღალმა დონემ.

გაზვიადება არ იქნება, თუ ვივარაუდებთ, რომ თუ სათანადო პირობები იქნება, ჩვენი ქვეყანაც შეძლებს საერთაშორისო დონეზე შთამბეჭდავი წარმატებების მოპოვებას.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აწ უკვე დაშლილი დიდი იმპერიის მეცნიერების ერთ-ერთი მცირე ნაწილი გახლდათ, კერძოდ, მისი საბუნებისმეტყველო დარგი ძირითადად ორიენტირებული იყო მილიტარისტული სახელმწიფოს ცალკეული ამოცანების გადასაწყვეტად და უფრო გლობალური მასშტაბით დიდი ქვეყნის სამხედრო პოტენციალს ემსახურებოდა. ამის მიუხედავად, ალბათ, არ იქნება სწორი ვთქვათ, რომ ქართული მეცნიერებისთვის ეს იყო წარუმატებელი დრო; პირიქით — სწორედ ამ პერიოდში მნიშვნელოვნად განვითარდა მსოფლიოში ცნობილი ქართული მათემატიკური სკოლა, გაიზარდა ქართველოლოგიური მეცნიერების ცალკეული დარგების, ფიზიკოსების, ბიოლოგების, ქიმიკოსების, ეკონომისტების, ტექნიკური დარგის წარმომადგენლების წარმატებული თაობები, რომლთა ერთი ნაწილი დღეს მსოფლიოს სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრში, კომპანიასა და უნივერსიტეტში მოღვაწეობს. მათემატიკისა და ფიზიკის გარდა, ჩამოყალიბდა ფიზიოლოგიის, ფსიქოლოგიის, ქიმიის, ბიოლოგიის, მედიცინის, აგრარული და დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ეროვნული სკოლები. ეს ის დარგებია, რომლებიც დღეს ქართული მეცნიერების სიამაყეა. ქართველ მეცნიერებს მიეცათ შესაძლებლობა, გასულიყვნენ საერთაშორისო სარბიელზე და მიეღოთ მონაწილეობა დიდ სამეცნიერო ფორუმებში.

ამავე დროს, მეცნიერების ის ფუნქცია, რაც დიდი მილიტარიზებული იმპერიის ინტერესებს შეესაბამებოდა, შეუსაბამო აღმოჩნდა ისეთი მცირე, განვითარებადი ქვეყნის ინტერესებთან, როგორიც თანამედროვე საქართველოა. დამოუკიდებელ ეროვნულ მეცნიერულ ლიანდაგებზე გადასვლა საკმაოდ რთული და პრობლემური გამოდგა. **მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრიორიტეტები უშუალოდ უნდა იყოს დაკავშირებული ქვეყნის სპეციფიკასთან და აქტუალურ საჭიროებებთან. ამ პოზიციებიდან, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო გაიზარდა ქართველოლოგიურ მეცნიერებათა მნიშვნელობა, კიდევ უფრო აქტუალური გახდა მსოფლიო საზოგადოებისთვის ჩვენი ეროვნული თავისთავადობის, ენის, კულტურისა და ისტორიის შესახებ სწორი და საფუძვლიანი ინფორმაციის მიწოდება. ასევე აშკარაა, რომ დამოუკიდებელი ქვეყნისთვის აუცილებელია ახალი, მის ინტერესებს მისადაგებული ეკონომიკური მოდელების შექმნა, იმ უახლესი ტექნოლოგიების ათვისება, რომლებიც რთულ პოლიტიკურ გარემოცვაში მყოფ მრავალდარგოვან და ბიომრავალფეროვან ქვეყანას განვითარების სწორ გზაზე დააყენებს.**

დიდი იმპერიის დაშლის შემდეგ საქართველოში მნიშვნელოვნად დაბრკოლდა მეცნიერების განვითარება. ეს განსაკუთრებით შეეხება ექსპერიმენტული ხასიათის საბუნებისმეტყველო პროფილის მიმართულებებს. გაბატონდა მცდარი აზრი, რომ დამოუკიდებელ საქართველოს არ სჭირდება ფუნდამენტური მეცნიერება და, თუ დასჭირდება, უცხოეთი „მოგვაწვდის“...

იყო ცდა, შეცვლილიყო მეცნიერების მართვის პრინციპებიც და წინა პლანზე წამოწეულიყო საუნივერსიტეტო მეცნიერება. რა თქმა უნდა, საუნივერსიტეტო მეცნიერება ცალკეული დარგების განვითარების ძალზე ძლიერი ბერკეტია, მაგრამ — მხოლოდ ფინანსურად მძლავრი უნივერსიტეტების არსებობის შემთხვევაში.

მისასალმებელია, რომ საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ ერთმნიშვნელოვნად გამოხატა პოზიტიური, სახელმწიფოებრივი მიდგომა მეცნიერებისადმი. ამას თუნდაც ის ფაქტი მოწმობს, რომ მთავრობის დავალებით ახალგზრდა მეცნიერთა ჯგუფმა, რომელსაც ბატონი გია დვალი ხელმძღვანელობს, ეროვნული მეცნიერების განვითარების საინტერესო ახალი მოდელი შეიმუშავა. დიდი ალბათობით შეიძლება ითქვას, რომ იწყება ეროვნული ინტერესებით მართული მეცნიერების აღორძინება და ამ კონტექსტში უფრო აქტუალური ხდება საკითხი იმის შესახებ, თუ რაგორ უნდა წარიმართოს ჩვენი მეცნიერების ფლაგმანის — მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის — შემდგომი არსებობა-განვითარება.

რაც შეეხება მეცნიერების მასშტაბებს, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ შეუძლებელია, მცირე ქვეყანამ ერთნაირად განავითაროს მეცნიერების ყველა ფუნდამენტური მიმართულება. მაშინ რა გზა არსებობს? საქართველოში არსებულ უნივერსიტეტებთან, უცხოეთის მეცნიერებთან, ცალკეული კომპანიებისა და ფირმების სამეცნიერო სტრუქტურებთან, საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ მეცნიერებთან და სპეციალისტებთან მჭიდრო თანამშრომლობით უნდა გაგრძელდეს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ მართული მეცნიერების ცალკეული დარგების თანმიმდევრული განვითარება. საჭიროა, შეირჩეს მიმართულებები, რომლებიც დაიცავს და გააძლიერებს ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს, სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს.

თანამედროვე ეტაპზე, როდესაც ქვეყნის პროგრესი და მისი ეკონომიკური შესაძლებლობები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მეცნიერულ და ტექნოლოგიურ პროგრესზე, აუცილებელია ქვეყნისთვის ისეთი პრიორიტეტული მიმართულებების არჩევა, რომლებიც მოკლე დროში გააძლიერებს მის ეკონომიკას. მთავრობამ, როგორც სადღეისოდ ქვეყნისათვის ყველაზე ძლიერი ეკონომიკური ბერკეტი, სავსებით მართებულად დაასახელა პრიორიტეტად ტრადიციული მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა. სწორედ ამ დარგის განვითარებით უნდა დადგეს ფეხზე ქართული სოფელი, რაც ისტორიულად ქვეყნის ძალისა და ერთობის უმთავრესი საფუძველია. აგრარული დარგის აღორძინებას დღეს დიდი ყურადღება ექცევა, რაც გამოიხატება არნახული დაფინანსებით და ფერმერული მეურნეების ხელშეწყობით. რაც შეეხება დარგისთვის ახალი, თანამედროვე აგროტექნოლოგიების შექმნასა და პრაქტიკაში დანერგვას, აქ მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, აგრარულ აკადემიასა და აგრარულ უნივერსიტეტთან ერთად, ძალიან ბევრის გაკეთება შეუძლია.

უკანასკნელ წლებში ნათლად იგრძნობა განვითარებული სახელმწიფოების დიდი დაინტერესება და ხშირად პირდაპირი ინტერვენცია ახალი ტექნოლოგიების შექმნასა და კომერციალიზაციაში, რაც ძალზე პროგრესულ მოვლენადაა აღიარებული. **სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში აღარ არსებობს დაწესებულება, რომელიც ტექნოლოგიების დარგში ლიდერის როლს შეასრულებდა. ეს განსაკუთრებით ეხება ტექნოლოგიურ ინოვაციებსა და გამოგონებებს, რომელთა რაოდენობის მიხედვითაც საქართველო ყოფილ საბჭოთა კავშირში თავის დროზე მესამე ადგილზე იყო რუსეთისა და უკრაინის შემდეგ.**

სწორედ ტექნოლოგიური ინოვაციების ხარჯზე ისრაელის ხაზინა ყოველწლიურად მილიარდზე მეტი დოლარით ივსება. **მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ ტექნოლოგიური პროგრესი საბუნებისმეტყველო დარგებში ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის თაოსნობით წარმართულიყო,** რაც ქვეყნისათვის ბევრი პერსპექტიული ტექნოლოგიისა და ორიგინალური საინჟინრო გადაწყვეტილების საწყისი იქნებოდა.

XX საუკუნე უდავოდ შევა კაცობრიობის ისტორიაში, როგორც დიდი მეცნიერული აღმოჩენებისა და ახალი ტექნოლოგიების შექმნის ეპოქა. თუ XIX-XX საუკუნეების დიდი ნაწილი სამხედრო ინტერესებით იყო მართული და ძირითადად ფიზიკისა და ქიმიის განვითარების ხანა გახლდათ, დღეს არსებული შეხედულებებით, XXI საუკუნე ბიოტექნოლოგიებსა და ნანოტექნოლოგიებს დაეთმობა, რაც ითვალისწინებს სამედიცინო, სამრეწველო, სასურსათო, აგრარული და სხვა სახის მასობრივი მოხმარების და უნიკალური პროდუქციის წარმოებას.

საქართველოს ეკონომიკა შესაძლებელია მნიშვნელოვნად გაძლიერდეს ბიო და ნანოტექნოლოგიების განვითარების საფუძველზე. რა არის ამის წინაპირობა? 69-ათას კვადრატულ კილომეტრზე არსებულ 15 მრავალჯერად განმეორებად ნიადაგობრივისა და 25-ზე მეტ ნიადაგობრივ-კლიმატურ ზონას ბიომრავალფეროვნებით და, შესაბამისად, გენოფონდის განსაკუთრებული სიმდიდრით, შეიძლება ითქვას, მსოფლიოში ანალოგი არა აქვს. სწორედ ეს ფაქტორი განსაზღვრავს ბიოტექნოლოგიების ანაკრებს და მათს მრავალფეროვნებას. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ უფალმა საქართველო სწორედ ამ ეკოლოგიურად სუფთა, ბუნების მიმართ მეგობრული ტექნოლოგიების გამოყენებისათვის შექმნა. ბიოტექნოლოგია ყოველწლიურად 10-15%-ით იზრდება. მარტო აშშ-ს ერთ შტატში — კალიფორნიაში — ოფიციალურად დარეგისტრირებულია 3000-ზე მეტი ბიოტექნოლოგიური კომპანია, რაც უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ამ შტატის არნახული პროგრესის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია.

სწორედ მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ უნდა ითავოს განსაკუთრებული ბიომრავალფეროვნებისა და ტრადიციულად მრავალდარგოვანი აგრარული პროფილის მძლონე ძვეყნისათვის ახალი ბიოტექნოლოგიური პროექტების შექმნა, შესაბამისი ეკონომიკური მოდელებით. დარგის განვითარების შემთხვევაში რეალურად არის მოსალოდნელი, რომ ახლო მომავალში შექმნილი ბიოტექნოლოგიების ქსელი, რომელიც ძირითადად საქართველოს რეგიონებში უნდა განხორციელდეს, მნიშვნელოვნად შეამცირებს მოსახლეობის მიგრაციას ქალაქებში და დიდ როლს შეასრულებს ქართული სოფლის გაძლიერებაში. ამავდროულად არსებობს სერიოზული ვარაუდი იმისა, რომ ბიოტექნოლოგიური მრეწველობის განვითარება სათავეს დაუდებს მოსახლეობის დამაგრებას მთაში.

თაობათა ცვლა მტკივნეული, მაგრამ აუცილებელი პროცესია აკადემიის ცხოვრებაში. ამ საკითხზე მეცნიერებისა და განათლების სამინისტროსთან მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობამ ერთობლივად უნდა იმუშაოს, კერძოდ, შეარჩიოს პერსპექტიული ახალგაზრდა მეცნიერთა ჯგუფები და შექმნას ახალგაზრდა მეცნიერების მომზადების პროგრამები. არასრული მონაცემების მიხედვით, დღეს საზღვარგარეთ 300-ზე მეტი ახალგაზრდა ქართველი იღებს განათლებას, ძირითადად საკუთარი ხარჯებით. მათი უმრავლესობა ფინანსურ შეჭირვებას განიცდის და მხარდაჭერას საჭიროებს. ეს ის საზოგადოებაა, რომელიც ხვალ, უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ, სამშობლოში უნდა დაბრუნდეს და ქვეყნის, მათ შორის, მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ტრადიციები გააგრძელოს.

რაც შეეხება საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ მეცნიერებს, ერთი მხრივ, დასანანია, რომ დამოუკიდებლობის გზაზე მდგარ ქვეყანას კვალიფიციურ მეცნიერთა საგრძნობი რაოდენობა გამოაკლდა, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს წარმატებული მეცნიერები თავისი მაღალი ავტორიტეტითა და მოღვაწეობით სახელს უხვეჭენ ქვეყანას, ინარჩუნებენ და განამტკიცებენ საფუძველს მისი მომავალი ინტელექტუალური განვითარებისთვის. ბევრი მათგანი მონაწილეობს ქართველ კოლეგებთან ერთობლივ კვლევებსა და სხვადასხვა პროექტების განხორციელებაში, საქართველოდან წარგზავნილ ახალგაზრდა მეცნიერების მომზადებაში. ამიტომაც შეუძლებელია არ აღინიშნოს მათი განსაკუთრებული წვლილი ეროვნული მეცნიერების წინაშე.

დრომ მოიტანა იმის აუცილებლობა, რომ მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის ცხოვრების ყველა ასპექტში მეცნიერულად დასაბუთებული პროექტებით, პროგრამებით და წინადადებებით. სწორედ მეცნიერებათა ეროვნული აკადემია უნდა გახდეს ქვეყნის ყოველმხრივი აღორძინებისა და, მათ შორის, მეცნიერული და ტექნოლოგიური პროგრესის მთავარი ინიციატორი და წარმართველი. ის სისხლხორცეულად უნდა იყოს ჩართული ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში და ღრმა მეცნიერული ანალიზის შედეგად მართლაც სრულფასოვნად შეასრულოს ქვეყნის ხელისუფლების მთავარი მრჩევლის როლი.

გიორგი (ოთარ) კვესიტაძე,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი

ნაბუკო მოკვდა, გაუმარჯოს ტრანსადრიატიკულ გაზსადენს



2011 წელს აზერბაიჯანმა და თურქეთმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლითაც მოხდება ევროპისათვის რუსეთის გვერდის ავლით, ბუნებრივი აირის ტრანზიტით მიწოდება. ეს იყო შედეგი ევროპის სახელმწიფოების ენერგიის წყაროების დივერსიფიკაციის მცდელობისა.

აზერბაიჯანის გადასაწყვეტი იყო, რომელ პროექტს აირჩევდა – „ნაბუკოს“ თუ ტრანსადრიატიკულ გაზსადენს, რომელიც თურქეთ-საბერძნეთ-იტალიის დამაკავშირებელია.

„ნაბუკოს“ კონსორციუმი კარგა ხანია იბრძოდა კასპიის ზღვის შელფის გაზის მოპოვების კონტრაქტებისათვის. მისი მეწილეები დამოუკიდებლად ცდილობენ აზერბაიჯანული და თურქმენეთის მხარეების დაყოლიებას. თუმცა, რაიმე კონკრეტული ნაბიჯები ამ კუთხით არ გადადგმულა. შეთანხმების გაწელვის პარალელურად გაიზარდა „ნაბუკოს“ პროექტის დასაფინანსებელი თანხები და ორი წელი მისი მოცულობა 7,9 მილიარდი დოლარიდან 15 მილიარდამდე ავიდა. შექმნილი პრობლემების გამო ნელ-ნელა ინტერესი მისდამი გაუნელდა აშშ-საც. ამ ქვეყნის სპეციალური ეკონომიკური წარმომადგენელი ევროპისა და აზიის ენერგეტიკულ საკითხებში რიჩარდ მორნინგსტარი პირდაპირ აცხადებს, რომ „ნაბუკოს“ პროექტის რეალიზება ფინანსებისა და დროის თვალსაზრისით სულ უფრო რთულდება. მისივე განმარტებით, ამგვარი გრანდიოზული გაზსადენის მშენებლობა დროს მოითხოვს. მორნინგსტარი იმასაც ამბობს, რომ არ არის გამორიცხული დატვირთვასთან დაკავშირებითაც შეექმნეს „ნაბუკოს“ პრობლემა.

აშშ-ის წარმომადგენელმა თავად შესთავაზა მხარეებს „ნაბუკოს“ ალტერნატიული პროექტი სამხრეთის, კერძოდ ბალკანეთისაკენ. ეს იდეა შესაძლოა განხორციელდეს თურქეთთან ინტერკონექტორის მშენებლობის გზით. გაზის სამხრეთით დერეფანი აუცილებლად იმუშავებს – ასკვნის მირნინგსტარი და იქვე მხარეებს აფრთხილებს, რომ სიმძლავრეების ზრდა თანდათანობით მოხდება და იქ დიდი მოცულობები არ იქნება.

რაც შეეხება „ნაბუკოს“, მისი მშენებლობა 2013 წელს უნდა დაწყებულიყო. კონსორციუმის დაპირებით ბუნებრივი აირის მიწოდება 2015 წლიდან მოხდებოდა. მაგრამ შემდგომ ამ ვადამაც გადაიწია და ექსპლოატაციაში გაშვებად 2017 წელი დასახელდა. მისი სრული სიმძლავრე წელიწადში 31 მილიარდი კუბური მეტრი უნდა ყოფილიყო, სიგრძე კი 4 ათასი კილომეტრი.

შექმნილი პრობლემების (მოლაპარაკებებისა და ექსპლუატაციაში გასვლის ვადების გაწელვის, გამტარუნარიანობის, პროექტის ღირებულების გაორმაგების და ა. შ.) გამო, აზერბაიჯანმა „ნაბუკოს“ პროექტზე საბოლოოდ უარი თქვა. შაჰ-დენიზის საბადოდან ბუნებრივი აირის მოპოვებისა და ევროპაში ტრანსპორტირებისათვის არჩევანი ტრანსადრიატიკულ გაზსადენზე (TAP) შეჩერდა. ამ გაზსადენის ამოქმედება 2019 წლისთვის არის ნავარაუდევი.

ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზთა გამო „ნაბუკოს“ პროექტი აღარც თურქეთისთვისაა მიმზიდველი. იგი უპირატესობას აზერბაიჯანი-თურქეთის გაზსადენს (TANAP) ანიჭებს. ორივე ქვეყანა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „ნაბუკოს“ ჭირვეულობა და ლოდინი გაზის გამანაწილებელ ქვეყნებს ახალ პერსპექტივებს უსპობს და საჭიროა აზიიდან ევროპაში გაზის ტრანსპორტირებისათვის უფრო რეალური გზები დაისახოს. მიუხედავად ამგვარი განწყობისა თურქეთი მაინც რჩება „ნაბუკოს“ კონსორციუმის წევრად. მაგრამ მისი პრიორიტეტი მაინც TANAP-ია, რადგანაც მისი პროექტი წინასთან შედარებით ბევრად მარტივად განსახორციელებელია. საქმე ის არის, რომ TANAP, უკვე არსებული აზერბაიჯან-თურქეთის გაზსადენით ისარგებლებს, რაც დიდძალ თანხებსა და დროს დაზოგავს. ამასთანავე გაზსადენი გაატარებს, მხოლოდ იმ ბუნებრივ აირს, რომელიც აზერბაიჯანიდან მოედინება.

თავისი უხეირო მენეჯმენტის გამო „ნაბუკომ“ ასეულობით მილიარდი დოლარის შემოსავლის მომტანი ბაზარი დაკარგა და, როგორც სპეციალისტები ამბობენ, მან უნდა ეძებოს ბუნებრივი აირის სხვა წყაროები, თუკი კონსორციუმს სურს კომერციული სიცოცხლისუნარიანობა შეინარჩუნოს.

საქართველოში დღეისათვის ფუნქციონირებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მსოფლიოში სიდიდით (1760 კმ) მეორე ნავთობსადენი. მას შეუძლია ერთი მილიონი ბარელი ნავთობის გატარება ყოველდღიურად. მას უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობაც აქვს. პარალელურად მუშაობს ბაქო-სუფსის მილსადენი. ნავთობის ტრანსპორტირება ხდება ფოთის, ბათუმისა და ყულევის პორტების გამოყენებით. მასაც მნიშვნელოვანი სტრატეგიული ფუნქცია აქვს. უცხოელი ექსპერტების დასკვნით, კავკასიის დერეფანი ყველაზე უსაფრთხო გზაა, რომელიც სხვადასხვა წარმოშობის გაზის ევროპის ბაზრამდე მისვლას უზრუნველყოფს. ევროპას უსაფრთხო მარშრუტები სჭირდება, სადაც არა ერთი, არამედ რამდენიმე გაზსადენი გაივლის – ერთხმად ამტკიცებენ საზღვარგარეთელი სპეციალისტები.

ჟურნალისტებთან შეხვედრისას პრემიერმა ივანიშვილმა განაცხადა, რომ აზერბაიჯანში იგეგმება შაჰ-დენიზის პროექტით ახალი გაზსადენის აშენება. ის მხოლოდ საქართველოს საზღვრამდე მოვა. ამის შედეგად კი გაიზრდება „შაჰ-დენიზის“ სიმძლავრეები, აიგება ახალი საკომპრესორო სადგური. ამ დროისათვის მილსადენი სანახევროდაა დატვირთული. ივანიშვილმა განმარტა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მას შეხვედრები ჰქონდა აზერბაიჯანის სახელმწიფო კომპანიისა (სოკარი) და ბრიტანული კომპანია „ბი-პი-აი“-ს წარმომადგენლებთან. ამ პროექტის განხორციელების შედეგად საქართველო 3-ჯერ მეტ იაფ გაზს მიღებს. მილსადენის სიმძლავრის გაზრდით. ქვეყნის სარგებელი ის იქნება, რომ კონტრაქტით გათვალისწინებულზე მეტ იაფ გაზთან ერთად ბიუჯეტში შემოვა გაზსადენში გავლილი ბუნებრივი აირის პირდაპირპროპორციული შემოსავალი – ამბობს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის კომერციული დირექტორი დავით ონიანი.

პრემიერის ეკონომიკური მრჩეველი გია ხუხაშვილი მილსადენის სიმძლავრეების გაზრდასთან არა მხოლოდ საქართველოს სარგებელსა და ეკონომიკის განვითარებას აკავშირებს, არამედ ქვეყნის უსაფრთხოებასაც. იგი იგონებს აგვისტოს ომისა და რუსული აგრესიის დროს რა პრინციპულად განიხილავდნენ ევროპის სახელმწიფოები საკითხს, რომ რუსულ ავიაციას ნავთობსადენი არ დაებომბა.

მოკლედ „ნაბუკოს“ პროექტის დახურვით სკეპტიკოსთა პროგნოზები, რომ საქართველო ამ უდიდეს პროლიტიკურ და ეკონომიკურ ზრდას ნახავს – არ მოხდება. ზოგიერთმა პოლიტიკოსის სტატუსის მქონე, მაგრამ პოლიტიკოსობისაგან მწყრალად მყოფმა უმცირესობაში დარჩენილთა წარმომადგენელმა ღვარძლიანად ისიც კი ჩაიქირქილა – „ნაბუკო“ საქართველოში განვითარებული ანტიდემოკრატიული რეჟიმის გამოისობით დახურეს და ჩვენ ამით ეკონომიკური სანქციები დაგვაწესესო. თუ ამხელა სახელმწიფოების მონაწილეობით შექმნილი კონსორციუმი ერთი კაცის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის გამო დახურეს, ყოჩაღ მის ვაჟკაცობას და დიდ გავლენას მსოფლიო ელიტაზე.

ევროპისათვის საქართველო ყველაზე რეალური დერეფანია. არსებული პროექტები მალე ამუშავდება და საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკური ბერკეტები კიდევ უფრო გაძლიერდება, იმედოვნებს ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში გიორგი ვაშაყმაძე.

ზაზა ბილიხოძე

◎ დაწუნებულია

საკაშვილის „საუკუნის პროექტი“ არარენტაბელურობის გამო შეჩერებულია

ოპოზიციაში გადასული „ნაციონალური მოძრაობა“ ნიანგის ცრემლებით მისტირის თავის დაწყებულ და ახალი ხელისუფლების მიერ შეჩერებულ პროექტებს. ბოლო თვეების ამთვლელი პრეზიდენტი და მისი ვარდოსანი ელიტა რას არ იგონებს. ხან ეკონომიკურ მოგებაზე უარის თქმაზე, ხან სამუშაო ადგილების გაუქმებასა და ხან რაზე აპელირებს, მაგრამ „შეგნებულად“ ავიწყდებათ, რომ შეჩერებული პროექტები სხვადასხვა ექსპერტთა (მათ შორის უცხოელ) მიერ რიგი მიზეზების გამო დაწუნებულია, რასაც შესაბამისი შედეგებიც მოჰყვა.

ელმავალდაკარგული შემადგენლობა

თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტი „საქართველოს რკინიგზა“ 17 მლნ ლარი დაუჯდა. პირველი საპროექტო ხელშეკრულების თანახმად 100 მლნ ლარი ჩვენს მხარეს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან უნდა მიეღო. დანარჩენი 70 მლნ-ს „საქართველოს რკინიგზა“ დაფარავდა, მაგრამ საბოლოოდ გადაწყდა, რომ სწორედ ეს უკანასკნელი გადაიხდიდა მთლიან საფასურს.

პროექტზე გამოცხადდა ტენდერი, რომელშიც ქართულ-ჩინური კონსორციუმის წარმომადგენელმა საქართველოში სააქციო საზოგადოება „ხიდმშენმა“ გაიმარჯვა და დაიწყო სამშენებლო სამუშაოები. პროექტის მიხედვით, რკინიგზის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, ტვირთების გადატანა, მთლიანად შემოვლითი რკინიგზით მოხდებოდა. სამგზავრო მატარებლები ორი მიმართულებით იმოძრავებდნენ. აღმოსავლეთის მიმართულებით – სადგურ „ნათულულიდან“, დასავლეთის მიმართულებით – „დიდუბიდან“.

თბილისის შემოვლითი რკინიგზა რომ არარენტაბელური იქნებოდა, დარგის სპეციალისტები პროექტის გამოჩენისთანავე ალაპარაკდნენ. რკინიგზის ერთ-ერთი ყოფილი თანამდებობის პირის თენგიზ დონაძის მტკიცებით, რკინიგზის ამ პროექტის მიხედვით აშენება დაუშვებელი იქნება, რადგანაც არ არის დაცული მატარებლებისა და რაც მთავარია, მგზართა უსაფრთხოება. პროექტის ამუშავების შემთხვევაში მნიშვნელოვნად გაიზრდება ხარჯები – ცვეთაზე, ელექტროენერგიის მოხმარებაზე და ა. შ. ყოფილი რკინიგზელისთვის გაუგებარია ამდენი ახალი ხიდისა და ესტაკადის გაკეთება. რკინიგზის ხაზებზე ისედაც ბევრი მოსაგვარებელი პრობლემაა. ხიდებისა და ესტაკადების აშენებას სჯობდა ფული ძველის შეკეთებაზე დახარჯულიყო. ამ შემთხვევაში მატარებელი ბათუმში სამ საათში თუ არა, ოთხში მაინც ნამდვილად ჩავიდოდა, აცხადებს დონაძე.

მაშინ, როდესაც მსოფლიო სატრანსპორტო ქსელის განვითარებაზე ზრუნავს, არ შეიძლება, ქალაქის ცენტრში რკინიგზის გაზის გაუქმება. არ შეიძლება მატარებელი (სამგზავრო) ქალაქში არ შედიოდეს. ასეთი რამ მსოფლიოს არც ერთ მსხვილ ქვეყანაში არ ხდება. მსოფლიოს მცდელობას, განავითაროს სატრანსპორტო ქსელი, წინა ხელისუფლებამ ამგვარის არსებობის მოსპობით უპასუხა – ასკვნის დარგის სპეციალისტი...

პროფესიონალი რკინიგზელების ნათქვამს სხვაგვარ ანალიზს უკეთებენ პოლიტოლოგები. მათი აზრით, შემოვლითი რკინიგზის პროექტი ბევრ ეჭვსაც ბადებს. ის, რომ „ნაციონალებს“ ვერ წარმოედგინათ საკუთარი ფიასკო, ცხადია. ისინი გეგმავდნენ, რაც შეიძლება მეტი მოგების მიღებას აღმოსავლეთიდან ქართული პორტებისა და პირიქით ტვირთების გადატანით. ისინი მართლაც რომ ბიუჯეტზე ფიქრობდნენ, რადგანაც ბიუჯეტი და „ნაცმოძის“ ყულაბა გაიგივებული ჰქონოდათ.

ანალიტიკოსები განსაკუთრებით ამახვილებენ ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ ნაციონალებმა ეტყობა, საბოლოოდ ჩაიქნიეს ხელი აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაზე, რუსეთის მიმართულებით რკინიგზის გახსნაზე. კონფლიქტამდე სომხეთიდან ათობით შემადგენლობა მიდიოდა დასავლეთში. მატარებლები მიდიოდნენ ბათუმისა და ქობულეთის მიმართულებით. იყო სოხუმის, გაგრის, გუდაუთის რეისები. ბევრი იყო რუსეთის მიმართულებით მოძრავი შემადგენლობა (მოსკოვი, როსტოვი და ა. შ.) როგორ შეიძლება „საუკუნის“ უწოდო პროექტს, რომელშიც მომავლის პერსპექტივები არაა გათვალისწინებული და მეზობელი სახელმწიფოებიდან შენსავე ტერიტორიაზე ან ტრანზიტით მომავალი მგზავრები დედაქალაქში არ შემოვიდნენ.

იხ. 6 გვ.

◎ ალიან-ჩალიანი

ეს ჟურნალია, კინო ახლა იწყება - განაცხადა თიბილოვმა

ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტის ლეონიდ თიბილოვის განცხადებით, საქართველოსთან ე.წ. საზღვრის გადაკვეთის პროცედურები კი არ გამარტივდება, არამედ უფრო გამკაცრდება.

ოსური მედიის ინფორმაციით, ეს განცხადება თიბილოვმა ე.წ. მთავრობის წევრებთან შეხვედრაზე გააკეთა, სადაც რამდენიმე დღის წინ ახალგორში, მოსახლეობასთან გამართული შეხვედრა შეაჯამა.

აღსანიშნავია, რომ ახალგორის რამდენიმე სოფლის მოსახლეობამ დე ფაქტო პრეზიდენტთან შეხვედრაზე საქართველოსთან ე.წ. საზღვრის გამარტივებული წესით გადაკვეთის საკითხი დააყენა. მოსახლეობამ ეს იმით ახსნა, რომ ე.წ. საზღვრის მიღმა, მათ ახლობლები და ნათესავები ჰყავთ.

– საზღვრის გადაკვეთის შესახებ არავითარ გამარტივებაზე საუბარი არ შეიძლება იყოს. ჩვენ მკაფიოდ განვაცხადეთ, რომ საქართველოსთან სახელმწიფო საზღვარი გაძლიერდება და ისე იქნება დაცული, როგორც არის მიღებული, – განაცხადა თიბილოვმა.

ინტერპრესი



ირაკლი ღარიბაშვილი სერიოზული გამოწვევის წინაშე დადგა

მამუკა მიქაუტაძის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით აღძრული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში შსს-ს 8 თანამშრომელი დაიკითხა. ასევე დაიკითხნენ მიქაუტაძის მეგობრები და თანამშრომლებიც. ამ ეტაპზე გენერალურ ინსპექციაში მიმდინარეობს სამსახურებრივი შემოწმება აღნიშნულ საქმეში მონაწილე სხვა პირების მიმართ. საქმე აღძრულია სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით, რაც პირის თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. რაც შეეხება საქმეზე ექსპერტიზის დასკვნას, შსს-ს პრესსამსახურის უფროსის ნინო გიორგობიანის ინფორმაციით, ის ხვალ გახდება ცნობილი.

მამუკა მიქაუტაძის გარდაცვალების საქმის შესწავლა დაიწყო სახლხო დამცველის აპარატმა. როგორც სახალხო დამცველმა for.ge-სთან საუბრისას აღნიშნა, საქმეში არსებობს სერიოზული დარღვევები.

„ეს საქმე იქნება ერთ-ერთი პრიორიტეტული ჩვენთვის უახლესი კვირის განმავლობაში. მას შემდეგ, რაც დეტალურად გვექნება ამომწურავი ინფორმაცია, გავაკეთებთ განცხადებას, თუმცა, ამ ეტაპზე, შემიძლია იმის თქმა, რომ სერიოზული დარღვევებია საქმეში“, – განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

ა-ო სექტორი მამუკა მიქაუტაძის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით შსს-ს „დროულ რეაგირებას“ ამ დრომდე ელოდება. „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ წარმომადგენელი გიორგი მშვენიერაძე ამბობს, რომ არასამთავრობო სექტორის მოწოდების მიუხედავად, იმ პირთა იდენტიფიცირება, ვინც მიქაუტაძე დააკავა და დაკითხა, არ მომხდარა.

ა-ო მიქაუტაძის გარდაცვალების ფაქტზე დროულ რეაგირებას და იმ პირთა იდენტიფიცირებას ითხოვს, ვინც იგი დააკავა და დაკითხა. როგორც მამუკა მიქაუტაძის ოჯახის წევრები აცხადებენ, ის განიცდიდა, რომ მეგობრის წინააღმდეგ ჩვენება იძულებით მიაცემინეს. ოჯახის წევრები ასევე არ გამორიცხავენ, რომ მამუკა მიქაუტაძეს თავი ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად მოეკლა.

საია-ს ხელმძღვანელის კახა კოჟორიძის განმარტებით, იკვეთება ის გარემოება, რომ პოლიციამ მიქაუტაძე უკანონოდ დააკავა და მას თავისუფლება აღუკვეთა ისე, რომ არანაირი შესაბამისი ოქმი არ შედგენილა. იკვეთება ისიც, რომ სასურველი ჩვენების მიღების მიზნით, მას დამამცირებლად მოეპყრნენ და თვითმკვლელობამდე მიიყვანეს.

კახა კოჟორიძემ და იურისტმა გიორგი მშვენიერაძემ ჟურნალისტებს მიქაუტაძის ჩვენების ასლებიც გააცნეს, სადაც ეს უკანასკნელი მართლაც ადასტურებს, რომ მას მეგობარმა გელა მანჯავიძემ „მარიხუანა“ მიუტანა.

ნიშანდობლივია ჩვენების ის ნაწილი, სადაც მიქაუტაძე ამბობს, რომ მანჯავიძე ორ, მისთვის უცნობ ქალბატონთან ერთად იმყოფებოდა, როცა მას „მარიხუანა“ გადასცა და ამ საკითხზე ესაუბრა. კახა კოჟორიძე მიიჩნევს, რომ ნაკლებად დასაჯერებელია, აღნიშნულ თემაზე საუბარი უცნობ ქალბატონებთან ერთად მომხდარიყო. ჩვენებაში მიქაუტაძე იმასაც აღნიშნავს, რომ მან „მარიხუანა“ 10 დღის წინაც მიიღო, რასაც ექსპერტიზა არ ადასტურებს. როგორც კახა კოჟორიძე ამბობს მიქაუტაძის სხეულის გარეგანი დათვალიერების შედეგად, მასზე ზემოქმედების ნიშნები იკვეთება.

„2013 წლის 5 ივლისს, დაახლოებით 13:00 საათზე, როდესაც ვიმყოფებოდი ა-სადგომზე, ჩემი ნაცნობი გელა მანჯავიძე თავისი მანქანით მოვიდა. მანქანა სადგომის შესასვლელთან გააჩერა და მანქანიდან გადმოუსვლელად ფანჯრიდან დამიწყო საუბარი. მომიკითხა, როგორ ვიყავი და ასევე მითხრა, რომ თან ჰქონდა ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“, რომელიც იმ მომენტში ეჭირა ხელში. კერძოდ, სიგარეტის კოლოფის ცელოფანში გახვეული პაკეტი, რომელშიც მისი მონაცემებით, „მარიხუანა“ იყო მოთავსებული. სწორედ ამ მომენტში ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, მოგვიახლოვდა რამდენიმე მამაკაცი, მათ გვითხრეს, რომ იყვნენ პოლიციის თანამშრომლები და წარმოგვიდგინეს საბუთები.

თუმცა, პოლიციის თანამშრომლების მოსვლის მომენტში გელამ დრო იხელთა და მანქანის მარჯვენა ფანჯრიდან სწრაფად გადააგდო აღნიშნული პაკეტი, რომელშიც მისი განმარტებით, იყო მარიხუანა. პოლიციის თანამშრომლებმა გელას ეს ქმედება, რა თქმა უნდა, დაინახეს და ჰკითხეს, თუ რა გადააგდო მან ფანჯრიდან, რაზეც გელამ უარით უპასუხა და განაცხადა, რომ ხსენებული პაკეტი მას არ ეკუთვნოდა და ნამდვილად არ იცოდა, თუ რა იყო მასში მოთავსებული“, – აცხადებს ჩვენების თანახმად მიქაუტაძე.

ჩვენების მიხედვითვე, აღნიშნულის შემდეგ პოლიციის თანამშრომლებმა გელას მანქანიდან გადმოსვლა მოსთხოვეს და პირადი ჩხრეკა ჩაუტარეს.

„ასევე გაჩხრიკეს ავტომანქანაც და შეადგინეს შესაბამისი ოქმები, ხოლო გელას მიერ ფანჯრიდან გადაგდებული მცირე ზომის პაკეტი ჩვენი თანდასწრებით ქაღალდის კონვერტში მოათავსეს და დალუქეს. ხსენებული პაკეტი იყო ზუსტად ის, რაც მანამდე გელას ეჭირა და რომელიც შემდგომ მან გადააგდო ფანჯრიდან. ჩხრეკის დასრულებისას მეც და გელაც პოლიციის თანამშრომლებმა პოლიციის დაწესებულებაში წაგვიყვანეს“, – წერია ჩვენებაში.

საკუთარ ჩვენებაში მამუკა მიქაუტაძე ასევე ამბობს, რომ მანამდე მასთან გელა მანჯავიძეს არასდროს მიუტანია ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“, თუმცა, იცოდა, რომ დროდადრო მოიხმარდა მას.

„და ჩემი მოსაზრებით სწორედ ამიტომ მოიტანა, რომ ჩემთვის მოეცა იგი. დასმულ შეკითხვაზე მოგახსენებთ, რომ მე დაახლოებით 10 დღის წინ მოვიხმარე „მარიხუანა“, რომელიც ჩემთვის უცნობმა მამაკაცმა მომცა, რომლის მანქანასაც მე ვარემონტებდი. მე არც მისი ვინაობა ვიცი და არც მისამართი. იგი ვნახე პირველად და მას შემდეგ საერთოდ არც მინახავს“, – აცხადებს მიქაუტაძე ჩვენებაში და ოქმზე ხელს აწერს.

არსებული ინფორმაციით, 36 წლის მამუკა მიქაუტაძემ სიცოცხლე თვითმკვლელობით თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე დაასრულა. ოჯახის წევრების განცხადებით, ღამით ის პოლიციამ დააკავა და რამდენიმე საათის განმავლობაში მთავარ სამმართველოში დაკითხვაზე იმყოფებოდა. თვითმკვლელობამდე ახალგაზრდა კაცმა ოჯახის წევრებს დაურეკა და უთხრა, რომ პოლიციამ მეგობრის საწინააღმდეგო ჩვენება წამებით მიაცემინა.

როგორც გარდაცვლილის მეზობელი აცხადებს, ახალგაზრდა მამაკაცმა ჯერ თბილისის ზღვაში სცადა თავის დახრჩობა, შემდეგ კი ხეზე ჩამოიხრჩო თავი. გარდაცვლილის ოჯახის წევრები ეჭვობენ, რომ ის მოკლეს.

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი საზოგადოების წარმომადგენლებს მოუწოდებს გამოძიების დასრულებამდე კომენტარებისგან თავი შეიკავონ.

„შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკვე დაიწყო გამოძიება. მე ვისურვებდი, რომ ყველამ შეიკავოს თავი წინასწარი კომენტარებისგან, სანამ ოფიციალური ექსპერტიზა არ დაიდება, ვენდოთ გამოძიებას და დაველოდოთ მის შედეგებს. გელა ხვედელიძის მაგალითი აჩვენებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში თვითონ მინისტრი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ებრძოლოს დაუსჯელობის სინდრომს. რა თქმა უნდა, ჩვენ ყველამ ვიცით, რომ მიქაუტაძის საქმეზე რა შედეგიც დაიდება, თუკი აღმოჩნდა, რომ ვინმე არის ამაში დამნაშავე, იმისდა მიხედვით დამყარდება ჩვენს ქვეყანაში დემოკრატია და ადამიანის უფლებები,“ – განაცხადა თეა წულუკიანმა.

ფაქტია, რომ მამუკა მიქაუტაძის საქმესთან დაკავშირებით არსებობს ძალიან ბევრი კითხვა, რომელსაც შსს-ში დაწყებულმა გამოძიებამ პასუხი დროულად და ადეკვატურად უნდა გასცეს. სამართალმცოდნე კახი კახიშვილი განმარტავს, რომ ისევე როგორც გენერალური პროკურორისთვის, ასევე შს მინისტრისთვის ეს არის ტესტი, რომელიც მათ უნდა ჩააბარონ.

„რა თქმა უნდა, გამოწვევა კი არა, ყველა ეს საკითხი არის იმდენად მნიშვნელოვანი, რომ დროულ პასუხს ითხოვს ამ უწყების ხელმძღვანელების მხრიდან. თუ ჩვენ არ გვინდა, რომ გარკვეული კითხვის ნიშნები გაჩნდეს ამ უწყებების მიმართ,“ – აცხადებს კახი კახიშვილი.

თამთა ძარჩავა

◎ ალიან-ჩალიანი

სამებაში 14 ივლისს 30-ე საყოველთაო ნათლობა გაიმართება

ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში 14 ივლისს 30-ე საყოველთაო ნათლობა გაიმართება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრიდან „ძლევაი“ აცნობეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ნათლული კიდევ 420-მდე ჩვილი გახდება. მონათლულებს საჩუქრად ნათლობის მოწმობა, სახარება, სანთლები და ჯვარი გადაეცემათ. ნათლობის დასრულების შემდეგ, დაახლოებით 20:00 საათისთვის, ტაძარში პატრიარქი მიბრძანდება და მონათლულებს დალოცავს.

დღეისთვის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს 17 ათასზე მეტი ნათლული ყავს. ისინი ჯვარდაწერილი წყვილების ოჯახში მესამე და შემდეგი შვილი არიან. საყოველთაო ნათლობა ბოლოს, 18-19 ივლისს, ხულოსა და ბათუმში ჩატარდა.

ჩვილთა პირველი საყოველთაო ნათლობა კი ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში 2008 წლის 19 იანვარს შედგა.

კათოლიკოს-პატრიარქის ინიციატივის მიზანი ქვეყანაში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებაა.

ნალხს ბინებიდან პაიპარად არ გამოასახლებენ

ბინებთან დაკავშირებით მიმდინარე სამართლებრივი დავების დასრულებამდე და სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე, ადამიანების გამოსახლება არ მოხდება.

შესაბამისი ცვლილება შს მინისტრმა „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანებაში განახორციელა. აღნიშნულ დოკუმენტში ბოლო ცვლილება ირაკლი ღარიბაშვილმა 5 ივლისს შეიტანა. ამ თემასთან დაკავშირებით ბრძანებაში ცვლილება ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში სამჯერ შევიდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ნინო გიორგობიანი განმარტავს, რომ სანამ სასამართლო დავები არ დასრულდება, ადამიანების სახლებიდან გამოსახლება არ მოხდება.

— ადრე სხვაგვარად ხდებოდა - დავების დასრულებას არ ელოდებოდნენ და ადამიანებს სახლიდან ასახლებდნენ. ძირიდათად ეს პრობლემები იპოთეკით დატვირთულ ბინებზე არსებობდა. ამის შემდეგ მინისტრმა ეს ბრძანებით შეცვალა, რომლის თანახმადაც, სანამ გამოძიება არ დასრულდებოდა, გამოსახლება არ მოხდებოდა. შემდეგ გარკვეული პრეტენზიები წამოვიდა და ბრძანება ისევ შეიცვალა. ბოლოს მიხვდნენ, რომ ეს სწორი ფორმა არ იყო და ისევ ის ბრძანება ამოქმედდა, რომლის საფუძველზეც სასამართლოს დასრულებამდე ადამიანებს ვეღარ გამოასახლებენ, — განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ნინო გიორგობიანმა.

საბრანსპორტო საშუალებების მინების დამუქების საკითხზე პარლამენტში ორი ურთიერთსაპირისპირო ინიციატივაა შესული

საბრანსპორტო საშუალებების მინების დამუქების საკითხზე პარლამენტს ორი ურთიერთსაპირისპირო ინიციატივა წარედგინა. ამ მიმართულებით დეპუტატ თემურ მაისურაძის მიერ მომზადებული საკანონმდებლო წინადადება არსებული ჯარიმის შემსუბუქებას ითვალისწინებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო კი, მის მიერ მომზადებული პროექტით, მოქმედ ჯარიმას ძალაში ტოვებს და პარლამენტს დამატებითი სანქციის შემოღების წინადადებით მიმართავს.

კერძოდ, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ თანახმად, იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომლის მინები დამუქებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის თანხმობის გარეშე, იწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით.

ფრაქცია „ქართული ოცნება - ეროვნული ფორუმის“ წევრის თემურ მაისურაძის კანონპროექტის გათვალისწინებით, რომელიც პარლამენტს ივნისის ბოლოს წარედგინა, 50-ლარიანი ჯარიმა 25 ლარამდე მცირდება.

პარლამენტში ასევე ინიცირებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს პროექტი, რომელიც მინების დამუქებაზე 50-ლარიან ჯარიმას ძალაში ტოვებს და კანონმდებლებს სთავაზობს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს დაემატოს მუხლები, რომელთა გათვალისწინებითაც, წლის განმავლობაში აღნიშნული ქმედების განმეორება პირის 100 ლარის ოდენობით დაჯარიმებას გამოიწვევს, მესამე და ყოველ მომდევნო შემთხვევაში კი, მას მართვის უფლებას 6 თვის ვადით ჩამოართმევენ.

ნასვამ მძღოლებს მართვის უფლება, შესაძლოა, პირველივე შემთხვევისას ჩამოართვან

არაფხიზელ მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალების მართვაზე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მკაცრდება და სანქციები იზრდება.

შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივით, პარლამენტს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიმართა. „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებების პროექტი პარლამენტში უკვე ინიცირებულია.

პროექტის თანახმად, სატრანსპორტო საშუალების ნასვამ მდგომარეობაში მართვის შემთხვევაში, მძღოლს 200 ლარით დაჯარიმების ნაცვლად, ერთი წლის ვადით მართვის უფლებას ჩამოართმევენ. თუკი ამას 18 წლის ასაკს მიუღწეველი, მართვის უფლების მქონე პირი გააკეთებს, მას მართვის უფლება ორი წლის ვადით ჩამოერთმევა, ნაცვლად ერთი წლისა, რასაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი სადღეისოდ ითვალისწინებს.

გარდა ამისა, წინასწარი შეცნობით, სატრანსპორტო საშუალების ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი პირისთვის გადაცემა, 250-ლარიანი ჯარიმის ნაცვლად, 300 ლარით დაჯარიმებას გამოიწვევს.

აღნიშნული სამართალდარღვევების ჩადენა, როდესაც სატრანსპორტო საშუალების მძღოლს არა აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ან ეს უფლება ჩამორთმეული აქვს სხვა დარღვევებისათვის, გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მფლობელის დაჯარიმებას 700 ლარის ოდენობით, ნაცვლად სადღეისოდ დაწესებული 500 ლარისა.

700 ლარით დაჯარიმდება პირი, რომელიც წინასწარი შეცნობით მანქანას არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ პირს კვლავ გადასცემს და ამ ქმედებას წლის განმავლოში განმეორებით ჩაიდენს.

1000 ლარით ან 15-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობით დაისჯებიან პირები, რომლებსაც სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ჩამორთმეული აქვთ, ამ ვითარებაში სატრანსპორტო საშუალების არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის გამო ერთხელ უკვე დაჯარიმდნენ, მაგრამ იგივე ქმედება კვლავ გაიმეორეს.

ამავე კანონპროექტის თანახმად, ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვის შემთხვევაში, განსაკუთრებული გარემოებების გამოვლენისას, საქმის განმხილველ ორგანოს შეუძლია, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევა 700-ლარიანი ჯარიმით შეცვალოს.

ინტერპრესი

სააკაშვილის დედისგან ტექნიკური უნივერსიტეტის ქონების დაბრუნებას ითხოვენ!

„ჰოი, პრეზიდენტის დედაო, ვითომ ნეტარო?...“

„სოციალურად „გეპეის“ სტატუსი იყო, რომ, თუ ვერსად მოეწყობოდი, მერე აუცილებლად შეგტენიდნენ გეპეიში. ლამის, ეს სასჯელის ტოლფასი იყო... ჩვენ გვჭირდება ნამდვილი პროფესიონალები, ტექნოლოგები, ინფორმატიკოსები, ინჟინრები,“ — ეს ბრიყვული განცხადება პრეზიდენტმა სააკაშვილმა 2012 წლის მარტში სტუდენტებთან შეხვედრისას გააკეთა.

რამდენიმე დღის წინათ კი ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორებს კიდევ ერთხელ შეხვდა და პროფესიულ და სამეცნიერო საქმიანობაში შეტანილი წვლილისა და დამსახურებისთვის რამდენიმე მათგანი ღირსების ორდენით დააჯილდოვა. მიხეილ სააკაშვილმა მათ სიტყვით მიმართა და ტექნიკური უნივერსიტეტის მნიშვნელობაზე ესაუბრა. მისი თქმით, ამ უმაღლესმა სასწავლებელმა არაერთი კვალიფიციური სპეციალისტი აღზარდა და ტექნიკურ სფეროში გარკვეული ტრადიციების დამფუძნებელი გახდა. როგორც მან აღნიშნა, ამ უნივერსიტეტმა უდიდესი წვლილი შეიტანა ინდუსტრიის მიმართულებით და მნიშვნელოვანი სკოლები ჩამოაყალიბა.

რამ გამოიწვია პრეზიდენტის ტექნიკური უნივერსიტეტის მიმართ დამოკიდებულების ასეთი ცვლილება? რა ნიშნით იყვნენ მასთან შეხვედრაზე დასასწრებად ლექტორები შერჩეულები და, საერთოდ, რა ხდება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ამაზე for.ge-ს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, „პროფესორთა ლიგის“ თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძე ესაუბრება.

— სააკაშვილი აგრძელებს „აღმოჩენებს“ და ახლა აღმოაჩინა, რომ ტექნიკური უნივერსიტეტი თურმე განათლებისა და მეცნიერების დიდი ცენტრი ყოფილა. არადა, დაახლოებით ერთი წლის წინ იგი ამბობდა, რომ ტექნიკური უნივერსიტეტი, ანუ ყოფილი „გეპეი“, იმ ადამიანების ბუდე იყო, რომლებიც ვერსად ვერ აბარებდნენ და შეეძლოთ „გეპეი“-ში გაკვეხებულიყვნენ... მისი თქმით, აქ იყო ცეკვა-თამაში, გართობა, სიმღერა, ხოლო სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობდა და ვინც ტექნიკურ უნივერსიტეტს ამთავრებდა, არაფერი იცოდა.

უცებ სააკაშვილმა გასულ პარასკევს თავისთან დაიბარა ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორთა გარკვეული ნაწილი. ამ ადამიანების გვარები მართლა არ მახსოვს, მაგრამ ძირითადად ეს ტექნიკური დარგის სპეციალისტები, ასაკოვანი, ჭაღარა პროფესორები იყვნენ, რომლებიც თავის დროზე სააკაშვილმა „ჩარეცხა“. ახლა კი, მან ამ ადამიანების ქება დაიწყო. როგორც ჩანს, სააკაშვილმა გარკვეული მიზანი დაისახა - მოახდინოს გავლენა პროფესურაზე (ანუ იმ ადამიანებზე, რომლებსაც ჭკუა მოეკითხებათ ამ ქვეყანაში და ავტორიტეტით სარგებლობენ) და გამოისყიდოს თავისი დანაშაული, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც მისმა პოლიტიკამ სწორედ ტექნიკური უნივერსიტეტი დააზარალა ყველაზე მეტად.

— რაში გამოიხატება ტექნიკური უნივერსიტეტის დაზარალება?

— მოგეხსენებათ, პრეზიდენტის დედამ გიული ალასანიამ თავის დროზე ძალიან საეჭვო ვითარებაში, ჩალის ფასად შეიძინა ტექნიკური უნივერსიტეტის ორი კორპუსი. ეს იყო ე.წ. მეხუთე კორპუსი და პოლიკლინიკის კორპუსი. პოლიკლინიკა იქიდან გაასახლეს და მეორე კორპუსში გადააბარგეს. ამასაც არ დასჯერდნენ და მიიტაცეს ასევე ვეებერთელა სტადიონი, რომელიც ტექნიკური უნივერსიტეტის საკუთრებაში უნდა ყოფილიყო და უცებ აღმოჩნდა „საქართველოს უნივერსიტეტის“ საკუთრება. ამ უნივერსიტეტის მფლობელი კი, მოგეხსენებათ, გიული ალასანიაა.

ტექნიკურ უნივერსიტეტს ესეც არ აკმარეს, თბილისის მერიამ მას პირველ კორპუსში მდებარე საცურაო აუზი წაართვა, კეთილმოაწყვეს და პრეზიდენტის და უგულავას მეუღლეები იქ საცურაოდ, მასაჟების გასაკეთებლად და დასასვენებლად დაბრძანდებოდნენ.

— ხომ არ იცით, რა თანხის სანაცვლოდ მიიღო გიული ალასანიამ ტექნიკური უნივერსიტეტის მთელი ეს ქონება?

— სამწუხაროდ, მე ზუსტი თანხა არ მახსოვს, მაგრამ ერთი რამ კი ვიცი, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის იმჟამინდელი რექტორი რამაზ ხუროძე, როგორც ჩანს, დაჭერის მუქარით დაითანხმეს იმაზე, რომ ხელი მოეწერა კაბალურ შეთანხმებაზე. ცნობილია, რომ ეს კორპუსები გიული ალასანიამ ჩალის ფასად ჩაიგდო ხელში.

ამასთანავე, ტექნიკური უნივერსიტეტის მეექვსე კორპუსის უკან გაკეთდა ბენზინგასამართი სადგური, რაც ამ შენობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის. მოგეხსენებათ, ქართული კანონმდებლობით აკრძალულია შენობებთან 50 მეტრზე ახლოს ბენზინგასამართი სადგურების აშენება. ამ შემთხვევაში კი ეს ნორმა დარღვეულია და, ფაქტობრივად, მეექვსე კორპუსი ნაღმზე ზის.

ტექნიკურ უნივერსიტეტს კიდევ ბევრი ზიანი მიაყენა წინა ხელისუფლებამ. კერძოდ, წაართვა ბევრი ლაბორატორია, ბევრი ადამიანი დაითხოვა სამსახურიდან და ტექნიკური უნივერსიტეტში არსებული სკოლები მიწასთან გაასწორეს. ამ ყველაფრის შემდეგ, სააკაშვილი იბარებს თავისთან ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს (როგორც ჩანს, თვითონ ვერ გაბედა მოსვლა) და იქ უფრო ყოყოჩად გამოიყურებოდა, პროფესურას თავი მოუქონა. ამ შეხვედრას ბოლომდე ვერ ვუყურე, იმდენად ამაზრზენი იყო ეს ყველაფერი. თქვენი მედიასაშუალების მეშვეობით მინდა, საყვედური ვუთხრა იმ პროფესურას, რომელიც ამ შეხვედრას ესწრებოდა, რადგან სწორედ ამ პროფესურას წაართვა სააკაშვილმა ის კორპუსებიც, აუზიც და ყველაფერი. ახლა კი ეს ადამიანები ეახლნენ მიხეილ სააკაშვილს.

დღეს, როდესაც „ნაციონალური მოძრაობის“ მთელი სიდამპლე გამომჟღავნდა, ციხის კადრების და კიდევ ბევრი რამის შემდეგ, სააკაშვილის ხელიდან ორდენი კი არა, მილიონი დოლარი რომ მოგცეს, ხელი არ უნდა მოკიდო. ეს ყველაფერი ამ პროფესურას გარკვეულ პასუხისმგებლობას აკისრებს.

ჩვენ, „პროფესორთა ლიგა“, კატეგორიულად მოვითხოვთ, რომ ტექნიკური უნივერსიტეტისთვის ჩამორთმეული ქონების საკითხი პროკურატურამ და საქართველოს პარლამენტმა შეისწავლონ და ეს ყველაფერი კანონიერ პატრონებს დაუბრუნონ. სამართლიანობის აღდგენა მხოლოდ ის არ არის, რომ დაჭერილი გამოუშვა. კანონიერ მესაკუთრესაც უნდა დაუბრუნო მისი ქონება, მით უმეტეს, როდესაც ეს ფაქტები ასე აშკარად დევს ზედაპირზე.

— თქვენ, ანუ „პროფესორთა ლიგამ“, არაერთხელ გააპროტესტეთ გიული ალასანიასთვის ტექნიკური უნივერსიტეტის შენობის გადაცემა და საინტერესოა, ამავე უნივერსიტეტის სხვა წარმომადგენლები რატომ ხმას არ იღებენ ამასთან დაკავშირებით?

— ტექნიკურ უნივერსიტეტს ავიწროვებდა არა მხოლოდ გიული ალასანია და თბილისის მერია (რაზეც ზემოთ ვისაუბრე), არამედ ყოფილი დეპუტატი კახა შენგელიაც. მისი „კავკასიის უნივერსიტეტი“ ტექნიკური უნივერსიტეტის მეექვსე კორპუსის მეოთხე სართულზე წლების განმავლობაში არის განთავსებული, ტექნიკური უნივერსიტეტისთვის იჯარის თანხა, ორი მილიონი ლარი აქვს გადასახდელი და უკვე წლებია ამ თანხას არ იხდის. ამიტომ ჩვენ, „პროფესორთა ლიგა“ და თავად ტექნიკური უნივერსიტეტიც ამ ყველაფერს ვაპროტესტებთ და მიგვაჩნია, რომ დროა, პროკურატურამ ამ საკითხებისადმი ინტერესი გამოიჩინოს. როგორც მოგახსენეთ, აქ ყველაფერი ზედაპირზე დევს, ამას დიდი სჯა-ბაასი არ სჭირდება, ალბათ სულ 3-4 კვირა დასჭირდება ამ საქმეების გამოძიებას და დროა, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას.

მე პროფესურას ვთხოვდი, სააკაშვილისგან (თუნდაც ნებისმიერი ხელისუფლებისგან, მაგრამ განსაკუთრებით ასეთი დისკრედიტირებული ადამიანისგან) ორდენების მიღებისგან თავი შეიკავონ. ამ ადამიანთან არანაირი კოაბიტაცია, მით უმეტეს განათლების და მეცნიერების სფეროში, არ შეიძლება.

— საკმაოდ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შესატანმა ცვლილებებმა. როგორია „პროფესორთა ლიგის“ დამოკიდებულება ამ საკითხისადმი?

— მოგეხსენებათ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გადადგა, რითაც საკმაოდ ეშმაკური სვლა გააკეთა, რადგან აკადემიურმა საბჭომ ისევ ის დანიშნა მოვალეობის შემსრულებლად. ახლა, 16 აგვისტოს რექტორის არჩევნები უნდა ჩატარდეს და იგი უნდა აირჩიოს იმავე აკადემიურმა საბჭომ, რომელიც „არჩეული“ იქნა სააკაშვილის პერიოდში. ყველამ ვიცით, რომ სააკაშვილის მმართველობის დროს ამ ადამიანებს პირდაპირ ხელისუფლება ნიშნავდა. მართალია, მათ მიერ არჩეული რექტორი აღარ იქნება კვიტაშვილი, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამას, როდესაც ისინი ისევ ნაციონალებისთვის სასურველ კანდიდატს აირჩევენ. ეს არ იქნება ლეგიტიმური არჩევნები. **12 ადამიანს, რომელსაც თავად აქვს ლეგიტიმაცია დაკარგული, არ შეიძლება რექტორის არჩევა მივანდოთ.**

ამიტომ, ჩვენ ვითხოვთ, რომ რექტორი აირჩიონ ან პროფესორთა საბჭოებმა, რომლებიც ყველა ფაკულტეტზე არსებობს, ან უნივერსიტეტის ყველა სრულმა ან ასოცირებულმა პროფესორმა. ეს დასაბამს მისცემს იმას, რომ სხვა უნივერსიტეტებშიც ეს პროცესი უფრო დემოკრატიულად წარიმართება.

— ყველა მოთხოვნა, რაც თქვენ დღეს გააჟღერეთ, შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს გაუგზავნეთ წერილობით თუ მედიის საშუალებით მიმართავთ მათ?

— „პროფესორთა ლიგა“ არასამთავრობო ორგანიზაციაა, ხოლო იურიდიული პირი, ვისაც ეს ყველაფერი უშუალოდ შეეხო, არის ტექნიკური უნივერსიტეტი. მე ვიცი, რომ ტექნიკური უნივერსიტეტი ამ მიმართულებით გარკვეულ ნაბიჯებს დგამს, თუმცა, მოგეხსენებათ, პროკურატურაში უამრავი საქმეა და ამიტომ მიგვაჩნია, რომ ასეთი საქმეები ცალკე უნდა იქნეს გამოყოფილი, რადგან მათ გადაწყვეტა, შესაძლოა, ერთ თვეშიც კი მოხდეს. ჩვენ არაფერს ვერჩით ალასანიას უნივერსიტეტს, **დააბრუნოს წართმეული ქონება და თუ უნარი აქვს, დამოუკიდებლად გააგრძელოს ფუნქციონირება, რაშიც მე ძალიან დიდი ეჭვი მეპარება. მოგეხსენებათ, ეს უნივერსიტეტი ყველაანირი პრივილეგიით სარგებლობდა და კახა ბენდუქიძის უნივერსიტეტთან ერთად კერძო უმაღლესი განათლების სფეროში მონოპოლისტად იყო ქცეული. ამიტომ მონოპოლიები ამ სფეროშიც უნდა დაიშალოს.**

რუსუდან უშიკიშვილი

◎ დაწუნებულია

სააკაშვილის „საუკუნის პროექტი“ არარენტაბელურობის გამო შეჩერებულია

(მოთხრ. გვერდიდან)

სხვა რომ არაფერი, ეს დღევანდელი ვაგზლის ტერიტორიას გახდიდა გაცხოველებული ვაჭრობის ცენტრად დროებით შეჩერებულთათვის. იხეირებს როგორც ბიუჯეტი, ასევე კერძო მოვაჭრე. ახალი, შემოვლითი პროექტით კი თბილისი თამაშგარეთ რჩება. ეს წინა ხელისუფლების როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური გათვლების სიბეცეა (პერსპექტივაში), — ამტკიცებენ პოლიტიკასთან შეხების მქონენი და განმარტავენ, რომ აფხაზეთის რკინიგზის შესაძლო გახსნით შეშფოთებულია აზერბაიჯანი, სადაც ვარაუდობენ, რომ ამას, შესაძლოა, მოჰყვეს რუსეთთან სხვადასხვა სახის ჰუმანიტარული დახმარებები, ვაჭრობის გამოცოცხლება და ა. შ. ბაქო არ გამორიცხავს სომხეთში რუსული სამხედრო ტექნიკის შედინებას აფხაზეთისა და საქართველოს გავლით.

თუმცა, პროფესიონალებს ამის საწინააღმდეგო არგუმენტებიც აქვთ. პოლიტოლოგები თვლიან, რომ ივანიშვილის ხელისუფლებას მეტად მოქნილი პოლიტიკის გატარება მოუწევს, რათა არ დააფრთხოს აფხაზები, სავაჭრო ურთიერთობები აღადგინოს რუსეთთან და არ მოიმდუროს რომელიმე კავკასიელი მეზობელთაგან. აქვე სპეციალისტები ეჭვს გამოთქვამენ კავკასიელი მეზობელთაგანი. აქვე სპეციალისტები ეჭვს გამოთქვამენ, რომ დღევანდელი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოუქნელი მისი კომპლექტაციის პოლიტიკის პირობებში, ეს ძნელად მისაღწევი იქნება.

შემოვლითი რკინიგზის მშენებლობა სერიოზულ პრობლემებს შექმნის ავჭალაში. ჭრებალოსა და უწერის ქუჩების მცხოვრებლები აცხადებენ, რომ მათი სახლების უმეტესობა ორ საუკუნეს ითვლის და ავარიულ მდგომარეობაშია. წინათ, როდესაც აქ ტრამვაი დადიოდა, კედლები ხშირად იბზარებოდა. ახლა კი 70-80-ტონიანი ვაგონების გადაადგილებას ნამდვილად ვეღარ გაუძლებს და სახლების უმეტესობა დაინგრევა. „ჭრებალოელები“, „უწერელი“ მეზობლების მსგავსად არაერთხელ მიმართავდნენ ძველ ხელისუფლებას, გამოესახლებინათ ისინი და სხვა საცხოვრებლებში გადაენაწილებინათ, ან სახლები გაემყარებინათ. სხვათა შორის, სამართლიანი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში პროექტის ღირებულება საგრძნობლად მოიმატებდა. ამის გამო სააკაშვილის ხელისუფლება დუმილის პოზიციას იკავებდა. სამუშაოები კი გრძელდებოდა. მოსახლეობამ ახალ ხელისუფლებასაც მიმართა. პასუხად აქაც დუმილია, იმ განსხვავებით, რომ სამუშაოები შეჩერებულია.

შემოვლით რკინიგზასთან დაკავშირებით მრავალი კითხვა არსებობს, — აცხადებს „საქართველოს რკინიგზის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე კოკა გუნცაძე და განმარტავს, რომ პროექტი ძვირაღირებულია, არ არსებობს ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, თუ რისი მომტანი იქნება ის. მოვლა-შენახვა წელიწადში 6-7 მლნ ლარი დაჯდება. ამასთანავე, მცირდება გადაზიდვებისუნარიანობა. ჩვენს მიერ დაქირავებულმა გერმანულმა საკონსულტაციო ჯგუფმა პროექტი დაიწუნა და გვირჩია მისი გადაკეთება. ამჟამად კონკრეტულ კომპანიასთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები პროექტის გადაკეთებაზე, რათა კორექტირება მოხდეს ისე, რომ რკინიგზამ სარგებელი ნახოს, — ამბობს გუნცაძე.

ზაზა ბილიხოძე

P. S. დედაჟალაძის მერიიდან და რკინიგზიდან გამოჟონილი ინფორმაციით, უგულავამ და რკინიგზელთა ყოფილმა თავკაცმა ქალაქში შემომავალი რკინიგზა კუთვნილი მიმდებარე ტერიტორიებით, ლიანდაგებით, ინფრასტრუქტურით უკვე გაყიდეს. რა იცოდნენ, რომ არჩევნებს წააგებდნენ.

ზ. ბ.

◎ მოქალაქის ხელწერა

ხუშტურებით შექმნილი არქიტექტურა





მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ქალაქები არა მისი ხუშტურის გამო, არამედ იმიტომ შენდებოდა სწრაფად, რომ ქართველებმა მშენებლობა ჩინელების სისწრაფით ახლა ისწავლეს.

მეტიც, პირადად იგი სტიმულს აძლევდა ამ მშენებლობებს. მის დროს შეიქმნა ახალი ქართული არქიტექტურა და, თუკი პირველი არქიტექტორები, რომლებიც ჩვენ გვყავდა, იყვნენ იტალიელები, ინგლისელები, ამერიკელები, „ბოლო წლებში ჩვენ უკვე ვაშენებდით ქართველი არქიტექტორების მეშვეობით“.

პრეზიდენტის ნათქვამის მიუხედავად, ქართველი არქიტექტორები მიიჩნევენ, რომ სწორედ სააკაშვილის ხუშტურით შენდებოდა ნაგებობები და სიჩქარის გამო მათი მდგრადობა საგანგაშოა! ასეთი ნაგებობები სულ მალე გამოვა მწყობრიდან და იმის თქმა, თითქოს, სააკაშვილის დროს შეიქმნა ახალი ქართული არქიტექტურა, ყოველგვარ რეალობას მოწყვეტილია.

სამშენებლო ასოციაციის თავმჯდომარე **ანზორ საკანდელიძე** აცხადებს, რომ პრეზიდენტობის მიწურულს სააკაშვილმა კიდევ ერთი დიდი სისულელე თქვა და ამით შეურაცხყოფა მიაყენა ქართველ მშენებლებს. სამშენებლო ექსპერტის აზრით, ისტორიაში სააკაშვილი ვერ ერკვევა, თორემ ასეთ ლაფსუსს არ აკადრებდა იმ ერს, რომელმაც თავის ყველაზე დიდ მეფეს აღმაშენებელი უწოდა და უძველესი ციხე-სიმაგრეები, უნიკალური საეკლესიო ძეგლები დაგვიტოვა.

ექსპერტის აზრით, სააკაშვილი ახლა ცდილობს იმის გამართლებას, რომ მან საერთოდ უგულებელყო ქართველი მშენებლები, არქიტექტორები, რომლებიც არა მარტო ყოფილ საბჭოთა კავშირში, არამედ მთელ მსოფლიოში ცნობილნი იყვნენ. ქართული არქიტექტორული სკოლა კი განთქმული იყო და საბჭოთა წლებში აშენებული ბევრი შენობა დღესაც არქიტექტურული შედევრების ნუსხაშია.

— ახლა ამბობს, ჩვენ ავაშენეთ, მანამდე არაფერი იყოო. თუმცა, თუ სადმე, საბჭოთა კავშირში რთული და საპასუხისმგებლო ნაგებობა იყო ასაშენებელი, ყველა მათგანს ქართველი დამპროექტებელი და ინჟინერი ჰყავდა, მუშახელიც საქართველოდან მიჰყავდათ. მშენებლობას ტექნოლოგიური აუცილებლობით განპირობებული თავისი ვადები აქვს, თუმცა, სწორედ პრეზიდენტის ხუშტურების გამო ირღვეოდა ეს ვადები. ნაჩქარევად აშენებული შენობის მაგალითია ქუთაისის პარლამენტის შენობა, რომელიც თვალსა და ხელს შორის ინგრევა. ნაციონალების მიერ დაგებული გზები, ხელახლა გასაკეთებელია. სწრაფად აშენების ავბედითი შედეგები მომდევნო წლებში იჩენს თავს, ასეთი შენობები უცბად არ ინგრევა, ჯერ იბზარება, შემდეგ ბზარი ფართოვდება და შენობის მდგრადობა მწყობრიდან გამოდის. სააკაშვილის მიერ ნაჩქარევად აგებული არცერთი შენობა არ მიაღწევს ნორმატიული გამძლეობის წლებს და ამ შენობების ექსპლოატაციიდან გამოსვლას ჩვენი თაობაც მოესწრება, — მიიჩნევს ანზორ საკანდელიძე.

მისივე განმარტებით, ჩინურ არქიტექტურას მსოფლიოში თავისი ადგილი აქვს, თუმცა, ჩვენი ლანდშაფტიდან გამომდინარე, ჩინური არქიტექტურა არ შეიძლება საქართველოში გადმოიტანო. ექსპერტი მიიჩნევს, რომ ამიტომაც აშენებდა სააკაშვილი უმსგავსო შენობებს, რაც საქართველოს ლანდშაფტს არ ერგებოდა. სინამდვილეში, ეს იყო მისი ხუშტურების ნაზავი, ჩამოჰყავდა იტალიელი არქიტექტორები და ქართველ არქიტექტორებს უმუშევრად ტოვებდა. მეტიც, ანზორ საკანდელიძის თქმით, სააკაშვილის დროს ახალი ქართული არქიტექტურის ნიმუში არ შექმნილა.

არქიტექტორი გიგა ბათიაშვილი მიიჩნევს, რომ მშენებლობა დადგენილი გრაფიკით უნდა ტარდებოდეს, რადგან ბეტონის გამკვრივებას თავისი დრო გააჩნია და, ზოგადად, მშენებლობაში ყველაფერს თავისი დრო სჭირდება. რაც შეეხება თანამედროვე ქართულ არქიტექტურას, რაც სააკაშვილმა „შექმნა“ - სვანეთში, გორის გზაზე თუ ბათუმში, **გიგა ბათიაშვილის** აზრით, ამას არავითარ ეროვნულთან, ეთნიკურ კულტურასთან საერთო არ აქვს. უფრო ზუსტად, „ეს არის თანამედროვე დიზაინის ელემენტებისგან ხუშტურებით შექმნილი არქიტექტურა“.

გამოჩენილი არქიტექტორის, აკადემიკოს გიგა ბათიაშვილის აზრით, არქიტექტურის უპირველესი დანიშნულება ისიცაა, რომ იგი სივრცის მაორგანიზებელი იყოს და სივრცის კულტურული ფენომენი გადმოსცეს. თუმცა, ბოლო წლების განმავლობაში არც ერთი ეს კომპონენტი დაცული არ ყოფილა, რიყეზე ჩადენილი დანაშაულით დაწყებული, ბათუმის მთელი რიგი შენობებით დამთავრებული.

— რატომღაც, სააკაშვილს აკვიატებული აზრი აქვს და არ იცის, რომ უმაღლესი სასწავლებელი მაღლივ შენობაში ვერ თავსდება. ესთეტიკურ მხარეს რომ თავი დავანებოთ, ფუნქციურადაც ვერ მუშაობს, რადგან სტუდენტების მოძრაობა ვერტიკალზე დროის დაკარგვას იწვევს. როგორც წესი, უმაღლესი სასწავლებლები ჰორიზონტალურად ვითარდება და მათი მშენებლობა სამ-ოთხ სართულზე მეტად გამართლებული არ არის. ყველაფერი უკუღმართად აქვს ამ კაცს გაგებული. მესტიის აეროპორტის კოშკი რომ დახარა და გადახარა, ეს არის ქართული არქიტექტურა? ეს არის მესტიის პატივისცემა? ეს ხომ მასხრობაა, — აცხადებს გიგა ბათიაშვილი.

ამის მიუხედავად, ქართველი არქიტექტორი ისტორიული თბილისის გარკვეულ მონაკვეთებში ნორმალურ შედეგზეც საუბრობს, მაგრამ თვლის, რომ ამის მიზეზი დედა-არქიტექტურაა, საიდანაც ეს ნაგებობები იღებს სათავეს და, რომლის რეგენერაციაც განხორციელდა. მისი აზრით, გარკვეულწილად, სიღნაღშიც დადებითი გამოვლინებები არსებობს, თუმცა, დანარჩენი, რაც სააკაშვილის დროს გაკეთდა, ეთნიკური კულტურის დამანგრეველია.

მხატვარი **გია ბულაძე** აცხადებს, რომ ქართული არქიტექტურა სააკაშვილის დროს არ შექმნილა და საამისოდ ძალიან კარგი სკოლა გვქონდა. თუნდაც ცნობილი არქიტექტორის გიორგი ჩახავას ნამუშევრის სახით, რომლის ტერასული ნაგებობაც არქიტექტურის მსოფლიო კატალოგშია შესული და არქიტექტურის ქრესტომათიად ითვლება. დღეს გაგარინის ქუჩაზე მდებარე ამ შენობაში საქართველოს ბანკის ოფისია განთავსებული.

გია ბუღაძე იხსენებს საინტერესო ქართველ არქიტექტორებს — **ძურდიანების ოჯახს, მესხიშვილს, კიკნაძეს, ჩხენკელების ოჯახს, თანამედროვე ქართველ არქიტექტორს — გიგა ბათიაშვილს. ამდენად, მისი აზრით, ეს მთელი თაობებია და, ზოგადად, არქიტექტურა არ იბადება ჰაერში, მას გარკვეული სათავეები მოეპოვება პეტერბურგში, მოსკოვში, მიუნხენში, ბერლინში თუ ლონდონში. ჩვენი ტრადიციული არქიტექტურა კი, მართალია, ბიზანტიურ არქიტექტურას ეყრდნობა, მაგრამ ქართველებს არქიტექტურის სკოლა გვქონდა და ახლაც შენარჩუნებული გვაქვს.**

— ასე რომ, ქართული არქიტექტურა სააკაშვილის დროს შექმნილი არ არის. უმეტესი სიახლეები, რომლებიც დღეს პოსტმოდერნისტული ტიპის არქიტექტურაში არსებობს, ბუნებრივია, ჩვენზეც მოქმედებს და საქართველოშიც შემოვიდა, მაგრამ ბევრი რამ საკამათოდ კეთდებოდა მიხეილ სააკაშვილის დროს. ბევრი ნამუშევარი აშკარად ნაჩქარევად გაკეთებულის შთაბეჭდილებას ტოვებს, თუნდაც — ძველი თბილისის ტერიტორიაზე, — აღნიშნა გია ბუღაძემ.

მანანა ნოზაძე

◎ ზეწოლა მოწმეზე

ყოფილ სამხედრო ექიმს ცრუ ჩვენების მიცემას აიძულებდნენ

სკანდალური საქმის სკანდალური განხილვა გრძელდება. ბაჩო ახალაიას სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, რომელიც ე.წ. 7 სპეცრაზმელის წამების ბრალდებას ეხება, ბრალდების მოწმემ იაღლუჯის პოლიგონის ყოფილმა სამხედრო ექიმმა ლევან სუთიძემ განაცხადა, რომ მას ცრუ ჩვენების მიცემას აიძულებდნენ.

ახალაიას ერთ-ერთი ადვოკატის გიორგი ონიანის განცხადებით, მოწმემ აღნიშნა, რომ იგი ღამის პირველ საათზე, ნების საწინააღმდეგოდ, წყნეთის ტყეში ჰყავდათ წაყვანილი. ეუბნებოდნენ, რომ რაც პირველი ჩვენებიდან არ ახსოვდა, ტყეში გაახსენებდნენ. ამის შემდეგ მანქანიდან გადმოაგდეს, შუაღამისას ტყეში დატოვეს, ტელეფონი გაუთიშეს და გადაუგდეს. ლევან სუთიძე ყვება, რომ ნახევარი საათი ეძებდა ტელეფონს, შემდეგ დაუკავშირდა მეგობარ სპეცრაზმელს, რომელიც დღესაც მუშაობს და წაყვანა სთხოვა.

მას პროცესზე პროკურორი ჩაეკითხა, ხომ არ იყო დაცვის მხრიდან გამომდინარე პროვოკაცია. მოწმემ თქვა, რომ ეს იყო ფაქტი, რომელიც მოხდა. სუთიძემ ასევე განაცხადა, რომ ამის დადასტურება შეეძლო მის მეუღლესა და სპეცრაზმის იმ წარმომადგენელს, რომელმაც იგი წყნეთის ტერიტორიიდან შუაღამეს წამოიყვანა“, — განაცხადა გიორგი ონიანმა.

ახალაიას სისხლის სამართლის საქმეზე პროკურორმა შაქრო ზაალიშვილმა ბაჩო ახალაიას ადვოკატების განცხადებას უპასუხა. როგორც პროკურორი აცხადებს, ის, რაც დღევანდელ პროცესზე მოხდა, დაცვის მხარის მიერ მოფიქრებული ლეგენდაა. პროკურორის თქმით, მოწმის ჩვენების მიხედვით, ლევან სუთიძე მისთვის უცნობმა პირებმა წაიყვანეს და ესაუბრებოდნენ, თუმცა, აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმესთან კავშირი მოწმეს არ დაუდასტურებია.

„ლევან სუთიძეს თუ მიაჩნია, რომ ეს იყო მის მიმართ ჩადენილი დანაშაული, შეუძლია, განცხადება შეიტანოს მთავარ პროკურატურაში და დაიწყოს გამოძიება. მე მოსამართლის შეკითხვაზეც განვმარტე და თქვენც განგიმარტავთ, რომ მის ნათქვამში დანაშაულის ნიშნებს ვერ ვხედავ“, — განაცხადა პროკურორმა.

ამასთან, პროკურორის თქმით, მოწმეს არ უთქვამს, რომ ნების საწინააღმდეგოდ წაიყვანეს სხვა მიმართულებით.

„მოწმემ თქვა, რომ მას უთხრეს, ვისაუბროთო. ისაუბრეს, შემდეგ კი უთხრეს, რომ წყნეთში ეჩქარებოდათ და სახლში თავად წასულიყო. სასამართლოზე მოწმემ სწორედ ასე განმარტა. სუთიძის მიერ მიცემული ჩვენება არ იძლევა დანაშაულის ნიშნებს. მე ვფიქრობ, რომ სუთიძემ განცხადება უნდა დაწეროს, თუკი იგი მომხდარში დანაშაულის ნიშნებს ხედავს“, — განმარტა პროკურორმა შაქრო ზაალიშვილმა.

ჟურნალისტების შეკითხვების საპასუხოდ, არის თუ არა საჯარო ინფორმაცია გამოძიების დაწყების საფუძველი, პროკურორმა განმარტა, რომ ეს იმ შემთხვევაშია საფუძველი, თუკი საგამოძიებო ორგანო მიიჩნევს, რომ მომხდარი დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ ახალაიას გარემოცვის წევრები გამოძიების მიერ წარმოდგენილ მოწმეებს წინასწარ ხვდებიან და მათ ჩვენების შეცვლაზე იყოლიებენ. ამ ინფორმაციას for.ge-სთან საუბრისას გამომძიებელიც ადასტურებს.

„მე სასამართლოზეც განვმარტე და ახლაც ვამბობ, რომ აღნიშნულ მოწმეს დაცვის მხარის ადვოკატები წინასწარ შეხვდნენ და ეს ლეგენდა მოიფიქრეს. მათ ლევან სუთიძეს გაუკეთეს ჩანაწერი და დაარიგეს, რა უნდა ეთქვა დღევანდელ პროცესზე. ამ ლეგენდით მოწმეზე მოახდინეს ზეწოლა“, — აცხადებს შაქრო ზაალიშვილი.

თამთა ძარჩავა

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველომ რუსეთთან ანგარიში გაასწორა

მოსკოვისა და თბილისის დინამოელთა მაჭიდ დაკავებებით დასრულდა

თბილისში ორშაბათს, დილით, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტთან“, სადაც შეჩერდნენ მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელები და გუნდის თანმხლები რუსეთის დელეგაცია, ათობით ახალგაზრდა შეიკრიბა რომლებსაც ხელები ჰქონდათ შეხვეული. არასამთავრობო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თავისუფალმა ზონამ“ ასე გამოხატა თავისი განმეორებითი პროტესტი საქართველოში რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის დეპუტატების ჩამოსვლასთან დაკავშირებით ფეხბურთში ამხანაგურ მატჩზე დასასწრებად თბილისისა და მოსკოვის „დინამოელებს“ შორის. აქცია, რომელიც ამ საწარმოო გაერთიანებამ მოაწყო კვირა საღამოს, მატჩის შემდეგ, დასრულდა მისი 3 აქტივისტის დაკავებით.

თავდაპირველად არავინ ვარაუდობდა რაიმე ექსცესს. თბილისი მოსკოველ სტუმრებს თავისი სახელგანთქმული სტუმართმოყვარეობით შეხვდა. სახელგანთქმული საბჭოთა ფეხბურთელების ქვრივები ვალენტინა იაშინა, ლიდია ივანოვა, აგრეთვე, სახელგანთქმული მეკარე ვლადიმერ პილგუი, რომლებიც საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდნენ რუსეთის დელეგაციის შემადგენლობაში, ძლივს იკავებდნენ მღელვარებას, იხსენებდნენ თავიანთ წინა ჩამოსვლებს საქართველოში, მაგრამ ასეთ გულთბილ შეხვედრას არაფრით ისინი არ ელოდნენ.

კვირას, სანამ მოსკოველი სტუმრები დაჰყავდათ ექსკურსიებზე თბილისსა და საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთაში, ფეხბურთის მოყვარულთა ყურადღება მიიპყრო ორმა სხვა სახელგანთქმულმა პიროვნებამ, უკრაინელმა ანდრეი შევჩენკომ და პორტუგალიელმა კრიშტიანუ რონალდუმ. ისინი ჩამოვიდნენ ფეხბურთის აკადემია „დინამოს“ გახსნის ცერემონიაზე, მათი ამასწინანდელი კოლეგის კახა კალაძის თხოვნით, რომელიც ამჟამად საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს უდგას სათავეში.

მათმა ჩამოსვლამ, რომელიც წარმატებით დაემთხვა მოსკოვისა და თბილისის თანაკლუბელთა შეჯიბრებას, ამ ფაქტს დამატებით კოლორიტი მიანიჭა. თუმცა, ყოველივე ამასთან ერთად, ამხანაგური მატჩის სტატუსისგან ექსტრაჰირება არაფრით შეიძლებოდა: გუნდების ფანატებმა გულღია ვითარებაში შეიმუშავეს ქცევის კოდექსი თამაშის დროს, თბილისის ბუკმეკერების კანტორების უმრავლესობას მასზე ფსონი არ დაუდია, ხოლო თუ დადეს კიდეც — მინიმალური კოეფიციენტით ფრეზე. როდესაც ამას ხედავდნენ, უფროსი თაობის ადგილობრივი გულშემატკივრები იუმორით იხსენებდნენ, თუ საკავშირო პირველობების დროს 2 გუნდი, რომლებიც ერთ უწყებას ეკუთვნოდნენ, ხშირად ერთმანეთს შორის იყოფდნენ ქულებს, 1970 წლებში კი რამდენიმე ჩემპიონატის დროს ზედიზედ სასწრაფოდ გაჰქონდათ ერთი-მეორის კარში თითო გოლი, ხოლო დარჩენილ დროს მხოლოდ ხანდახან თუ „ახსენდებოდათ“ სირბილი. „დღეს კი რას უნდა ველოდოთ, როდესაც უნდა აღვადგინოთ პოლიტიკური ურთიერთობანი?!“ — საქმის ცოდნით მრავალმნიშვნელოვნად ლაპარაკობდნენ ისინი. და აღმოჩნდნენ აბსოლუტურად მართლებიც. მატჩი დამთავრდა ანგარიშით 1:1. მაგრამ ჯერ კიდევ ფინალურ სასტვენამდე ფეხბურთის მახლობელი ატმოსფერო უკვე აღარ იყო ამხანაგური.

თავდაპირველად ერთ-ერთმა ადგილობრივმა ტელეარხმა მაყურებლებს აცნობა, რომ საგულშემატკივრო სტუმრებს შორის არიან რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის დეპუტატები და გენერალიც კი. თუმცა, არ განმარტა, რომ რუსეთის სპორტში ზოგიერთი ტრადიცია შენარჩუნებულია საბჭოთა დროიდან და არაფერია გასაოცარი იმაში, რომ მოსკოვის „დინამოს“ პრეზიდენტი არის მაღალი რანგის ძალოვანი, რომელიც ჩამოვიდა თბილისში თავის გუნდთან ერთად. რაც შეეხება „დეპუტატთა ჯგუფს“, მიუხედავად ადგილობრივი ჟურნალისტების გაძლიერებული ძიებისა, „დინამოს“ არენაზე რუს გულშემატკივართა შორის შეძლეს ენახათ მხოლოდ კომუნისტი სერგეი გავრილოვი. მაგრამ ესეც აღმოჩნდა საკმარისი და სტადიონის გამოსასვლელთან დაიწყო შეკრება ახალგაზრდათა გუნდმა პლაკატით „ოკუპანტო დეპუტატებო! შორს საქართველოდან!“

ერთდროულად მასპინძელ ფანატიკოსთა სექტორის რიგები შემცირდა. მათგან მიღებული ცნობებით, მოსკოველებმა დაარღვიეს შეთანხმება — არ გამოფინონ დროშები — და გაშალეს შავ-ყვითელ-თეთრი დროშა რუსეთის იმპერიისა, ამიტომ ადგილობრივმა გულშემატკივრებმა მეორე ტაიმის დასაწყისში გადაწყვიტეს დაეტოვებინათ სტადიონი. ერთი სიტყვით, სიტუაციამ უსიამოვნო შემობრუნება დაიწყო და საქმეში ჩაერთო პოლიცია, რომელმაც აქციის მონაწილეებს მოსთხოვა მოეხსნათ „არასტუმართმოყვრული“ პლაკატები და დაშლილიყვნენ. მოთხოვნა არ შესრულდა, და შედეგად სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თავისუფალი ზონის“ 3 აქტივისტი წაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში ხულიგნობის ბრალდებით. სტადიონთან მოულოდნელად გაჩნდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ პარლამენტის დეპუტატთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი. ერთერთმა მათგანმა — შოთა მალაშხიამ განაცხადა, რომ არ ფიქრობდა თუ იცოცხლებდა იმ დღეებამდე, როდესაც პატრიოტებს, რომლებიც მოითხოვენ სამშობლოს დეოკუპაციას, დააპატიმრებდნენ, ოკუპანტებს კი ხელით ატარებდნენ. ორშაბათს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მოითხოვა დაუყოვნებლივ გაენთავისუფლებინათ დაპატიმრებულები: „თავისი თავის პატივისმცემელი ერი უნდა სდევნიდეს თავის მტრებს და, როგორც მინიმუმი, არ დაუშვას მათი ჩამოსვლა“.

ჩვენი გაზეთის თბილისელ კომენტატორს იურისტ კონსტანტინე ჩიკვილაძეს მომხდართან დაკავშირებით აქვს თავისი აზრი, იგი მიიჩნევს, რომ ინციდენტი არის ყოფილი ხელისუფლების პროვოკაცია, მიუხედავად რუსი გულშემატკივრების ქცევისა. „სანამ „ნაცნაგავს“ თავიდან არ მოვიშორებთ და არ დავიცავთ მათი შხამიანი იდეოლოგიისაგან ახალგაზრდობას, ჩვენს ქვეყანას არაფერი ეშველება“, — დაწერა მან თავის გვერდზე „ფეისბუქში“. ჩიკვილაძეს მიაჩნია, რომ „ურაპატრიოტული აქციები“ საქართველოს წარმატებას კი არა, მხოლოდ ზიანს მოუტანს.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

დედამიწის ზურგზე

დიდმა ბრიტანეთმა ქვეყანაში შესვლა აუკრძალა ნი რუსეთელს „მაგნიტსკის სიიდან“

„დი ტელეგრაფის“ მონაცემებით, დეპუტატი დომინიკ რააბი საპარლამენტო გზავნილში დაინტერესდა, ხომ არ შემოსულა ვინმე დიდ ბრიტანეთში რუსეთელი, რომელსაც საქმე ექნებოდა სერგეი მაგნიტსკის მკვლელობასთან. პასუხად იმიგრაციის საკითხთა მინისტრმა მარკ ჰარპერმა განაცხადა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო ყველა აუცილებელი ზომა, რათა შეწყვეტილიყო ასეთი ჩინოვნიკებისათვის ვიზების გაცემა.

ყაზახეთში დაიმსხვრა კერძო თვითმფრინავი, დაზარალდა 4 კაცი

სასწავლო-სპორტული მონოპლანი ჩამოვარდა აფრენის დროს 3 კილომეტრზე სოფელ როსტოვკიდან ყარაგანდის ოლქში. 53 წლის მფრინავი და 3 მგზავრი — 24-22 და 26 წლისა — საავადმყოფოში მოხვდნენ.

იაპონიაში ჯერარნახული სიცხისგან დაზარალებულთა ოდენობამ ათასებს გადააჭარბა, დაიღუპა 3 კაცი

სიცხის დარტყმის გამო ჰოსპიტალიზებულთა ოდენობამ ივლისის პირველ კვირაში 2594 კაცი შეადგინა. დაზარალებულთაგან ყველაზე მეტი ხანდაზმული ადამიანია, რომლებიც აიტის, ტოკიოსა და საიტამის პრეფექტურებში ცხოვრობენ. სინოპტიკოსების პროგნოზები დამამშვიდებელი არ არის. ამავე დროს „დაიძაბა“ ვითარებაც ავარიული ატომური ელექტროსადგურის — „ფუკუსიმას“ მიდამოებშიც.

ტორონტოში წყალდიდობისაგან დაზარალებული მგზავრები გადარჩენენ მეორე სართულის წყალობით

მგზავრებს გაუმართლა — მეორე იარუსის ფანჯრებიდან მათი გადარჩენა შეძლეს მაშველებმა რეზინის ნავებით. ოპერაცია რამდენიმე საათს გრძელდებოდა. ამავე დროს ტორონტოს სხვა მცხოვრებლებმა ვერ შეძლეს სახლებამდე მისვლა მეტროს და ავტოგზების დატბორვის გამო. მეტეოროლოგების მონაცემებით, ქალაქს რამდენიმე საათის განმავლობაში თავს დაატყდა ნალექების ერთი თვის ნორმაზე მეტი.

აშშ-ში უარი უთხრეს გუანტანამოს პატიმარს სარჩელზე ძალით კვების პრაქტიკის შეწყვეტის შესახებ

ძალით კვება მეტად მტკივნეული პროცედურაა. საკვები ხსნარი შეჰყავთ მილით ცხვირის გავლით კუჭში. გუანტანამოს ციხეში ასეთ წამებას 44 პატიმარი განიცდის. მთლიანად შიმშილობა ყოფითი პირობების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად 106-მა პატიმარმა გამოაცხადა.

პაკისტანური დოსიე ბინ-ლადენზე: დადიოდა კოვბოის შლაპით და მას პატრულები აჩერებდნენ სიჩქარის გადაჭარბების გამო

ჟურნალისტებს ხელში ჩაუვარდათ პაკისტანის მთავრობის სპეციალური კომისიის ანგარიში, რომელიც იკვლევს ცხოვრების პირობებს ამ ქვეყანაში და „ალ-ქაიდის“ ხელმძღვანელის გარდაცვალებას. აღმოჩნდა, რომ ავღანეთიდან მისი წასვლის 9 წლის განმავლობაში ის არასოდეს შეუწუხებია არც სამიგრაციო სამსახურს, არც გადასახადების გადამხდელებს, არც პოლიციას.

ესპანეთის მმართველ პარტიაში კორუფციული სკანდალი იზრდება - ექს-ხაზინადარმა ისაუბრა „გადაგორების“ შესახებ

ციხეში მყოფმა ლუის ბარსენასმა ისაუბრა იმის შესახებ, რომ პარტიას უკანონოდ აფინანსებენ უკვე სულ ცოტა 20 წელიწადია. მან გამოთქვა გაფრთხილება: მის ხელთ არსებული დოკუმენტების გამოქვეყნებამ შეიძლება მთავრობის დამხობა გამოიწვიოს. ექსპერტებს ეჭვი ეპარებათ — ესპანელები უკვე აღარ ენდობიან ამჟამინდელ ოპოზიციონერებს.

გაზეთი, რომელსაც

რეკლამა

არ

სჭირდება!

გამოიწერეთ, შეიძინეთ, იკითხეთ!

საქართველოს რესპუბლიკა

◎ მედია-ფესტივალი ბორჯომში

ბაჩოს უკვდავება

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, კომპანია „რაფტინგ.ჯი“-ს, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციისა და მხარდამჭერი სპონსორების ერთობლივი ორგანიზებით, საერთაშორისო სპორტული ჟურნალისტიკის დღესთან დაკავშირებით,ბორჯომში მასშტაბური მედია-ფესტივალი გაიმართა. ფესტივალის ფარგლებში მინი-ფეხბურთში „ბაჩოს თასი“, ხოლო ჯომარდობაში „მოროშას თასი“ გათამაშდა.

ფესტივალის პირველ დღეს სპორტკომპლექს „ოლიმპის“ მოედანზე სპორტული ჟურნალისტები გაზეთ „სარბიელის“ ჟურნალისტის – ბაჩო სვანიძის ხსოვნის ტურნირზე – „ბაჩოს თასზე“ მინი-ფეხბურთში შეეჯიბრნენ ერთმანეთს, მეორე დღეს კი მასშტაბური მედია-ტურნირი ჯომარდობაში ჩატარდა „მოროშას თასზე“.

„ბაჩოს თასზე“ 4 გუნდი მონაწილეობდა – „ბაჩოს მეგობრები“, „სარბიელი“, „პრეს-მედია“ და „ტელე-მედია“. ტურნირის გამარჯვებული „ბაჩოს მეგობრების“ გუნდი გახდა, რომელმაც ფინალში „სარბიელი“ 4:2 დაამარცხა. მე-3 ადგილი „პრეს-მედიამ“ მოიპოვა, რომელმაც პენალტების სერიაში 3:2 აჯობა (ძირითადი დრო 6:6) „ტელე-მედიას“. ნახევარფინალურ შეხვედრებში „ბაჩოს მეგობრებმა“ „ტელემედიას“ 15:7 სძლიეს, „სარბიელმა“ კი „პრეს-მედიას“ 2:1 აჯობა.

გამარჯვებული – „ბაჩოს მეგობრები“ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა ბაჩოს თასით, მედლებითა და ტურნირის მხარდამჭერის – ლუდსახარშ „ნატახტარის თასით“ დააჯილდოვა. „ბაჩოს მეგობრებს“ გადაეცათ „ნატახტარის“ მიერ დაწესებული მთავარი პრიზიც – 500-ლარიანი ვაუჩერი რესტორან „წისქვილში“. მე-2, მე-3 და მე-4 ადგილებზე გასული გუნდები სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილემ თამაზ თევზაძემ, სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა გია გორგოძემ და ბაჩო სვანიძის მამამ გია სვანიძემ მედლებითა და სამახსოვრო საჩუქრებით დააჯილდოვეს.

„ბაჩოს თასის“ საუკეთესო მოთამაშედ ბაჩოს მეგობრების გუნდის წევრი ზურაბ მიგრიაული დასახელდა, ბომბარდირი ასევე ბაჩოს მეგობრების გუნდის წევრი ოთარ მხეიძე გახდა, ტურნირის საუკეთესო მეკარედ კი „სარბიელელი“ გიორგი ვაშაკიძე მიიჩნიეს. საუკეთესო მოთამაშეებმა

ბულ გუნდებს შორის კი დამატებით „ბაჩოს თასი“ ჯომარდობაშიც გათამაშდა.

ჯომარდობის მედიატურნირის გამარჯვებული ტელეკომპანია „რუსთავი-2“ გახდა, მე-2 ადგილზე „ტელეიმედი“ გავიდა, მე-3 ადგილი კი ტელეკომპანია „ჯი დი ესმა“ მოიპოვა.

ჯომარდობის გენერალური სპონსორის – არაყი „მოროშას“ მხარდაჭერით პირველ ადგილზე გასული გუნდი ერთი კვირით კიევში გაემგზავრება, მეორე ადგილზე გასული გუნდი ასევე ერთ კვირას გაატარებს „შატო ვერეში“, მესამეადგილოსანი კი წარმატებას თბილისის ერთ-ერთ უკრაინულ რესტორანში აღნიშნავს.

ჯომარდობაში გათამაშებული „ბაჩოს თასის“ მფლობელი „სპორტ-მედიის“ გუნდი გახდა, რომელმაც სპორტულ ჟურნალისტთა გუნდებს შორის საუკეთესო დრო აჩვენა, ჯამში კი საპრიზო სამეულში მოსახვედრად მცირედი დაკლდა. ჯომარდობაში მონაწილე სპორტულ ჟურნალისტთა გამარჯვებული გუნდი მედლებით და სამახსოვრო საჩუქრებით დაჯილდოვდა, სპორტულ ჟურნალისტთა გუნდის წევრებს კი „ნატახტარისგან“ რესტორან „ნიავის“ 500-ლარიანი ვაუჩერიც ხვდათ წილად.

აღსანიშნავია, რომ 2013 წელს „ბაჩოს თასი“ და მედიაჯომარდობის ტურნირი – „მოროშას თასი“ პირველად გაერთიანდა ერთი ქუდის ქვეშ – სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ეგიდით.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ მძლეოსნობა

„დედოფლის“ ერთგულნი

ამას წინათ „დინამო არენაზე“ 1997-1998 წლებში დაბადებულ მძლეოსანთა საქართველოს პირველობა გაიმართა. გოგონებში 400 მეტრსა და 400 მეტრზე თარჯებით რბენაში ელენე ხუსკივაძემ გაიმარჯვა, 800 მეტრზე რბენა მარი ჭეიძემ მოიგო, ბიჭებში 400 მეტრზე მესამე იყო ფინიშთან ცოტნე რამიშვილი. სამივე სპორტსმენს იანვრიდან ნელი გრიგალაშვილი ავარჯიშებს, მძლეოსნობის ანაბანას კი ისინი აკაკი კოპალეიშვილმა აზიარა.

იგი დღესაც ათეულობით მოზარდს აწრთობს, „სპორტის დედოფალს“ კი ჭაბუკობიდან გაუმიჯნურდა. აკაკი კოპალეიშვილი მე-5 კლასში იყო, თბილისის მე-2 ექსპერიმენტული სკოლის ფიზიკურზრდის მასწავლებელმა დიმიტრი მახარაძემ მძლეოსნობაში რომ დააწყებინა ვარჯიში. ჯერ მოკლე დისტანციებზე დარბოდა, მერე სიგრძეზე ხტომაში ოსტატდებოდა. ერთი წლის შემდეგ მის დაფრთიანებაზე ნუგზარ გეგენავამ იზრუნა. ჯერ თბილისის პირველობაზე გაიმარჯვა, ხოლო 1978 წელს მოსწავლეთა შორის საქართველოს ჩემპიონი გახდა.

ყველაზე ნაყოფიერი მისთვის 1980 წელი აღმოჩნდა. ჯერ საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა ჭაბუკებში, მერე თანატოლთა შორის მძლეოსნურ სამჭიდში (სიგრძეზე ხტომა, სამხტომი, 100 მეტრზე რბენა) საკავშირო პირველობაზე ვერცხლის მედალი დაიმსახურა, „ლოკომოტივის“ სტადიონზე ამიერკავკასიისა და მოლდოვას მძლეოსანთა ტურნირზე სიგრძეზე ხტომაში 7,08 მეტრით პირველი ადგილი დაიკავა, ბალტიისპირეთში საწვრთნელ შეკრებაზე ყოფნისას კი კაუნასში ლიტვის ღია პირველობა მოიგო.

1982 წლიდან, მას შემდეგ, რაც ნუგზარ გეგენავა მძლეოსნობის მანეჟის დირექტორად დაინიშნა, აკაკი კოპალეიშვილის დაოსტატებაზე სახელოვანი სპორტსმენი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვიქტორ სანეევი ზრუნავდა. კარგ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მძიმე ტრავმის გამო აქტიურ სპორტს ჩამოშორდა, თუმცა საყვარელი საქმისთვის ზურგი არ შეუქცევია – მწვრთნელობას მიჰყო ხელი.

– თავიდანვე ჩემს ჯგუფში რამდენიმე ნიჭიერი ყმაწვილი მოხვდა, – გვითხრა აკაკი კოპალეიშვილმა. – ერთ-ერთი მათგანი იყო დავით ხავთასი, რომელმაც თანატოლებში თბილისის პირველობა მოიგო 100 მეტრზე რბენაში. რომ წამოიზარდა, პროფილის შეცვლა გადაწყვიტა – წყალბურთში დაიწყო ვარჯიში. იქაც იყო ჩაღა – „დინამოს“ შემადგენლობაში აღმოჩნდა. დღესაც ბევრი ნიჭიერ გოგო-ბიჭს ვავარჯიშებ. სათანადო ხელშეწყობა თუ იქნება, მათი სახით საქართველოს მძლეოსნების კარგი ცვლა გაეზრდება.

ლექსო ცინცაძე

სურათზე: მარცხნიდან – აკაკი კოპალეიშვილი და ნუგზარ გეგენავა.

◎ ავტოსპორტი

როგორც იქნა, სამშობლოშიც

სებასტიან ფეტელი სამგზის მსოფლიო ჩემპიონია, მაგრამ აქამდე საშინაო რბოლა მოგებული არ ჰქონდა. მორიგ ეტაპზე კი ეს ნაკლი გამოასწორა – ნურბურგრინგზე გამართული გერმანიის დიდი პრიზი მოიგო და, რაც მთავარია, ლიდერობა, რომელსაც ის მეოთხე ტიტულისკენ მიჰყავს, კიდევ უფრო განიმტკიცა. ამ გამარჯვების შემდეგ კლასიფიკაციაში უახლოეს მდევარ ფერნანდო ალონსოს, რომელმაც ამჯერად მეოთხე ადგილი დაიკავა, 34 ქულას უგებს.

კვარცხლბეკის ქვედა ორი საფეხური „ლოტუსის“ პილოტებმა კიმი რაიკონენმა და რომენ გროჟანმა დაიკავეს. ისინი მთელი რბოლის განმავლობაში ფეტელს ახლოს მისდევდნენ. ამასთან, თუ დასაწყისში კიმი იყო წინ, რბოლის მეორე ნახევარში გროჟანი დაწინაურდა, თუმცა ბოლო წრეებზე ფინელმა მაინც შეძლო თანაგუნდელის ჩამოტოვება.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ვარსკვლავი

უსაინ ბოლტი: დავეწიო და გავუსწრო სარბოლო ავტომობილს!

იამაიკელმა მორბენალმა, მსოფლიო რეკორდსმენმა უსაინ ბოლტმა კიდევ ერთი რეკორდი დაამყარა. იგი მსოფლიო „ბრილიანტის ლიგის“ მეექვსე ეტაპზე გამოვიდა „ფორმულა ერთის“ ბოლიდით, რის გამოც ქომაგების ოვაციები დაიმსახურა.

ყველაზე მთავარი კი ის იყო, რომ ბოლტმა 200-მეტრიანი დისტანცია იმაზე სწრაფად დაფარა, ვიდრე სარბოლო ავტომობილით დაფარავდა – მან ეს მანძილი მხოლოდ 19 წამში გაირბინა!

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ორ თვეზე ოდნავ ნაკლებია დარჩენილი და ფავორიტი სპორტსმენები ასე ცდილობენ თავიანთი მონაცემთა ბაზა უფრო დახვეწონ, რათა ასახელონ მშობლიური ქვეყნები. უსაინ ბოლტს, ალბათ, 100%-ანი შანსები აქვს კიდევ ერთხელ გააოცოს მსოფლიო!

გიორგი შოთაძე

◎ ინტერნეტიდან

კიდევ ერთხელ ვალენტინა ძამბროტას მკერდზე...

ვეტერანი იტალიელი ფეხბურთელის ჯანლუკა ძამბროტას პოპულარული ცოლი ვალენტინა ძამბროტა კიდევ ერთხელ გამოთქვამს პროტესტს იმის გამო, რომ იტალიაში მას მხოლოდ ლამაზი მკერდის პატრონ ქალბატონად იცნობენ და არავინ ინტერესდება მისი პიროვნული თვისებებით.

„მე უარი ვთქვი ტელეგადაცემის წამყვანობაზე, რადგან, როგორც გაირკვა, გადაცემის შინაარსი არავის აინტერესებდა და ყველა თვლიდა, რომ გადაცემის პოპულარობის განმსაზღვრელი ჩემი ჩაცმულობა იყო. სამწუხაროა, რომ XXI საუკუნეში ასეთი დამოკიდებულებები არსებობს“ – ამბობს მშვენიერი ვალენტინა.

წესით, ვალენტინასაც უნდა გავუგოთ, მაგრამ თვალი ოხერია და როდესაც ამ ქალს უყურებ, გინდა თუ არ გინდა, მისი ინტელექტით ნამდვილად არ დაინტერესდები. ასეთი მკერდის პატრონს მთელი ცხოვრების მანძილზე "ლამაზი ქალის" იმიჯი გარანტირებული აქვს.

გეჟან დოლიძე

◎ გამოიცა

„სამი საუნჯე“ № 2(8), 2013



დაიბეჭდა სამეცნიერო-საზოგადოებრივ ჟურნალ „სამი საუნჯის“ მეორე კვარტლის ნომერი, რომელიც ეძღვნება ქართველთა კეთილმორწმუნე მეფე თამარის მიცვალების 800 წლისთავს. რუბრიკით „განათლება“ წარმოდგენილია **გ. გოგოლაშვილისა და ზ. ცუცქირიძის** სტატიები; პირველი ეხება უნივერსიტეტის გადარჩენის საკითხს, მეორე — საგანმანათლებლო რეფორმის სტრატეგიულ ამოცანებს. **გ. ამირანაშვილი** გვაცნობს თავისი მამის, აკად. შალვა ამირანაშვილისა და, განსაკუთრებით, იოსებ სტალინის დამსახურებას 1945 წელს ქართველი ხალხის ისტორიული საგანძურის დაბრუნების საქმეში. **თ. იველაშვილის** წერილით მკითხველი გაეცნობა სანდო წყაროების გათვალისწინებით გადმოცემულ ისტორიას 1944 წელს მესხეთიდან გასახლებული მუსლიმების შესახებ. ნომერში ასევე დაბეჭდილია ისტორიული დოკუმენტი — **გეორგიევსკის ტრაქტატი.** ნატოში საქართველოს გაწევრების მიზანშეწონილობის საკითხი განხილულია **შ. აფხაიძის** სტატიაში „ბომბები წარწერით — აღდგომას გილოცავთ“. ჟურნალის რედაქტორის **გ. რუხაძისა და გ. კოპლატაძის** ანგარიში ეთნოგრაფიული ექსპედიციისა „ჩემო სამშობლო მხარეო“ ჯავახეთის პრობლემებს ეძღვნება. ლიტერატურათმცოდნეობის განყოფილება ამჯერად წარმოდგენილია **ბ. დარჩიას** ნარკვევით „ვეფხისტყაოსანი“ და ინტერნეტტექსტობრივი მეთოდი. თანამედროვე „ქართლის ცხოვრების“ საჭირბოროტო საკითხებზე წაიკითხვათ **ნ. ლომოურისა და გ. ქავთარიას** წერილებს; ხუროთმოძღვრებაზე — **მ. ცუსიშვილის** მიმოხილვას საჩხერის ტაძრებზე; აგრეთვე — თეზისებსა და რეცენზიებს.

გახსენება

ვილენა ბეგლუმიანი

ნახევარი წელი გავიდა რაც ჩვენთან აღარ არის სულიერი და ფიზიკური სილამაზით გამორჩეული ქალბატონი **ვილენა ბეგლუმიანი.** ჰისტოლოგ-ლაბორანტად მუშაობის 60 წლის განმავლობაში მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ათიათასობით ავადმყოფისათვის დიაგნოზის დადგენაში. იგი იყო ჩვენი დაწესებულების ერთ-ერთი მოწინავე წევრი, ჭეშმარიტი პროფესიონალი, საქმისადმი თავდადებული, ახალგაზრდა კოლეგების უანგარო დამრიგებელი, უღალატო მეგობარი, დიდი ოჯახის ჩინებული დიასახლისი — მუდამ ასეთ პიროვნებად დარჩება ჩვენს მეხსიერებაში ქალბატონი ვილენა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი ლამაზი სული.

არკადი ჯორბენაძის სახელობის კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის თანამშრომლები

◎ გვეხმაურებიან

ეს წერილი ყველამ უნდა წაიკითხოს და გაითავისოს!

ძვირფასო რედაქცია! თქვენი გაზეთის ერთგულ მკითხველ-დამფასებელს, არაერთხელ მქონდა პატივი, ჩვენი ცხოვრების მრავალ საჭირბოროტო საკითხზე გამომეთქვა მოკრძალებული აზრი.

როგორც ყოველთვის, ამჟამადაც უაღრესად საყურადღებო, სრულიად საქართველოსთვის მეტად საინტერესო საკითხებს ეხება ცნობილი პოლიტოლოგის ჰამლეტ ჭიპაშვილის „საქართველოს რესპუბლიკის“ 4 ივლისის ნომერში გამოქვეყნებული პუბლიკაცია **„იქნებ ჩვენც მიგვიძღვის წვლილი ქვეყნის დეგრადაციაში?“**

ჩვენი ღრმა რწმენით, უაღრესად აქტუალურ ამ პუბლიკაციას საქართველოს ყველა ეროვნების მცხოვრები უნდა გაეცნოს.

ამიტომ, ხსენებული სტატია საქართველოში არსებული მედიის ყველა საშუალებით, ყოველგვარი კომენტარის გარეშე უნდა მიეწოდოს მკითხველს და ტელემაყურებელს, რათა ჩვენი უთავბოლო ყოფა-ცხოვრების გამო ზომაზე მეტად პოლიტიზებულმა საქართველოს მოსახლეობამ საჭირო დასკვნები თვითონ გააკეთოს.

დიდი პატივისცემით,

ისიდორე ჯანელიძე,
ისტორიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი, საქართველოს პოლიტოლოგთა ასოციაციის გამგეობის წევრი.

◎ ინფორმაცია

უსაფრთხოების ზომები გაძლიერდა

ამის შესახებ შს მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი თქმით, მოახლოებულ ტურისტულ სეზონთან დაკავშირებით ის იმყოფებოდა აჭარაში. ამასთან სამინისტრომ 6-თვიანი მუშაობის შედეგებიც შეაჯამა.

— ჩვენ მივიღეთ უსაფრთხოების ზომები, ჩავყვანეთ დამატებითი ძალები აჭარაში, ვინაიდან ტურისტების რაოდენობა არის გაორმაგებული და გასამმაგებული, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ასოცდაცამეტი გრამი ოქროს „ყელსაბამი“

სადახლოს საბაჟო გამშვებ პუნქტზე 4607,13 ლარს ღირებულების ოქროს არადეკლარირებული ნაკეთობები აღმოაჩინეს. შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, ს.გ.პ. „სადახლოს“ გავლით, სომხეთიდან საქართველოში რუსეთის მოქალაქე ანა ა. შემოვიდა.

შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ მოქალაქის ფიზიკური დათვალიერებისას, ანა ა-ს, ყელსაბამზე ასხმული ოქროს ნაკეთობები მათ შორის: სამაჯური- 1 ც, ყელსაბამი- 3ც, ჯვარი- 2ც, გულსაკიდი- 4ც, საყურე- 5 წყვილი, ბეჭედი -11ც, ოქროს საათი- 1ც, ოქროს საათი სამაჯურით 1-ცალი, საათის მექანიზმი- 2 ც, საერთო წონით 133,62 გრამი აღმოაჩნდა.

თბილისის აეროპორტის ექსპერტიზის განყოფილების დასკვნის თანახმად, საქონლის სატარიფო ღირებულება 4607,13 ლარს შეადგენს. რუსეთის მოქალაქე ანა ა-ს დაეკისრა ჯარიმა 4607,13 ლარის ოდენობით.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის ცნობილი მკვლევარი, ღირსეული მამულიშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თენგიზ პაპუაშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ბიბლიის მცხეთური ხელნაწერის ამაგდარი რედაქტორ-გამომცემელი, ცნობილი არმენოლოგი, ღირსეული მოქალაქე, პედაგოგი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ელენე დოჩანაშვილი-მელიქიშვილისა

და თანაუგრძნობს განსვენებულის დიდ ოჯახს.

აკად. კ. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კლინიკის ღვაწლმოსილი ქალბატონი, ექიმ-ლაბორანტი

ნინო (ნუნუ) თურქია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.

◎ ეკოლოგია

უკანონოდ გაჩეხილი ხეები ასათიანის ქუჩაზე და სისხლის სამართლის საქმე

ასათიანის ქუჩაზე ხეების მოჭრის გამო, შპს „ბიდი ფროფერთის“ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება. ამის შესახებ ჟურნალისტებს თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა ზვიად კერვალიშვილმა განუცხადა.

კერვალიშვილის თქმით, ასათიანის ქუჩაზე, ჯამში 47 ხე მოიჭრა, აქედან 27 ხის მოჭრის ნებართვა კომპანიას არ ჰქონდა. დარღვევისთვის კომპანია ადმინისტრაციული წესით დაჯარიმებულია 500 ლარით. გარდა ამისა, „ბიდი ფროფერთის“ მოუწევს გარემოსთვის მიყენებული 4000 ლარზე მეტი ზარალის ანაზღაურება.

რაც შეეხება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, როგორც ზედამხედველობის სამსახურის იურისტები განმარტავენ, კანონით დადგენილი წესით, გარემოსთვის 1000 ლარზე მეტის ზარალის მიყენება, სისხლის სამართლებრივ დევნას ითვალისწინებს. იქიდან გამომდინარე, რომ ზარალი გაცილებით მეტია, საქმე გამოსაძიებლად ფშს-ს გადაეცემა.

ამ ეტაპზე, ხეების მოჭრის პროცესი შეჩერებულია და თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლები ტერიტორიაზე აგრძელებენ დაკვირვებას, რათა მსგავსი ფაქტი აღარ განმეორდეს.

ინტერპრესი

◎ ჩვენი კარაბადინი

ოჯახი ციფრებსა და ფაქტებში

ქორწინების ინსტიტუტისთვის უახლოესი 30 წელი კრიტიკული იქნება. განვითარებულ ქვეყნებში ინტერესი ამ ინსტიტუტისადმი მუდმივად ქვეითდება.

ცოლიანი მამაკაცები უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე დაუქორწინებლები, ისინი არიან უფრო ჯანმრთელები და უფრო შეძლებულად ცხოვრობენ.

შანსი განქორწინებაზე 50 პროცენტით მცირდება, თუ ოჯახმა იარსება 7 წელი.

ყველაზე ბედნიერი ცოლ-ქმარი არიან მეგობრები, რომლებიც ცხოვრობენ საერთო ცხოვრებით, ვისი ინტერესებიც და მისწრაფებებიც ერთმანეთს ემთხვევა.

იმათ, ვინც დადებითად ეკიდება სამოქალაქო ქორწინებას, მეტი მიდრეკილება აქვთ განქორწინებისადმი.

29 წლისა ხდება მშობელი საშუალო ევროპელი. 20 წლისა — პოსტსაბჭოთა სივრცის საშუალო მცხოვრები, 19 წლისა — ინდოეთის მცხოვრები.

8 და 10-წლისანები იყვნენ ყველაზე ახალგაზრდა მშობლები კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე. ისინი 1910 წელს ცხოვრობდნენ ჩინეთში.

უმაღლესი სასწავლებლის განათლებულ კურსდამთავრებულებს გათხოვების გაცილებით მეტი შანსი აქვთ.

შვილებიანი წყვილები უფრო იშვიათად შორდებიან ერთმანეთს, ვიდრე უშვილოები.

მსოფლიოში ყველაზე დიდი ოჯახი აქვს ჩინელ ხანს, ინდოეთის შტატ მიზორამიდან, მისი ოჯახი შედგება 39 ცოლისაგან, 94 შვილისა და 33 შვილიშვილისგან.

51-ჯერ გააფორმეს ერთმანეთთან ურთიერთობა ამერიკელმა წყვილმა რალფა და პეტსი მარტინებმა კაურსაიტიდან (არიზონა) და რიჩარდ და კეროლ რობლმა სამხრეთი ჰემპსტედიდან (ნიუიორკის შტატი).

„ერთი ოჯახი — ერთი ბავშვი“ — ასეთი პოლიტიკა მოქმედებს ჩინეთში, რამაც საშუალება მისცა ქვეყანას მნიშვნელოვნად შეემცირებინა შობადობა, მაგრამ მიიყვანა იგი გადახრამდე ახალშობილი გოგონებისა და ბიჭების დამოკიდებულებაში.

იმ გოგონების 50 პროცენტი, ვინც აფორმებს ქორწინებას, ორსულადაა.

გიხაროდეთ!

ვაჟიანობაა, ვაჟიანობა!

გუშინწინ ბიჭები დაბადებულან... დიახ, დიახ, ბიჭები — ჩვენი ძმისა და კოლეგის გია გაბრიძიძის მონაგარნი! რენი და დათა შემატებიან საქართველოს!

ვულოცავთ დედას თინათინ თვალაძეს, ვულოცავთ ჩვენს გიას ამ განუზომელ სიხარულს, სასახელო ვაჟკაცებად დაგზრდოდეთ რენი და დათა, ძვირფასო მეგობრებო!

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია.

ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაშინგტონი — ვახტანგისთან

საქართველოში ფართომასშტაბიანი აქციები იწყება

ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი ნანა კაკაბაძე და პუბლიცისტი ირაკლი კაკაბაძე ქვეყნის მასშტაბით იწყებენ აქციებს დევიზით „დაიკავე საქართველო“. აქცია ტარდება ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენისა და რეჟიმის გასამართლების მოთხოვნით. როგორც ორგანიზატორები ამბობენ, ეს აქციები მოიცავს მთელ საქართველოს. გვინდა მოვიცვათ მთელი საქართველო. დღეს საზოგადოების 99 პროცენტი უკიდურეს გაჭირვებაშია, 1 პროცენტისთვის კი ნებადართულია ყველაფერი და ეს ერთი ჯგუფის მიერაა მონოპოლიზებული... აქციას ვიწყებთ თავისუფლების მოედანზე, შემდგომ ვაპირებთ, წავიდეთ ქუთაისის პარლამენტისკენ და იქიდან მოვუწოდოთ ხალხს, რომ დაიცვან თავიანთი უფლებები.

„ალია“

დატოვებს თუ არა არჩილ კბილაშვილი პოსტს

ბორტი ხმები უკვე კარგა ხანია, ჟღერტულებენ, რომ არჩილ კბილაშვილს წყალი აქვს შეყენებული. სარწმუნო წყაროები კი იმასაც ჩურჩულებენ, რომ ბიძინა ივანიშვილი მთავარი პროკურორის მოღვაწეობით უკმაყოფილოა. ეს უკმაყოფილება მთავრობის მეთაურმა ღიად დააფიქსირა, რასაც, ბუნებრივია, ქვეყანაში დიდი ალიაქოთი მოჰყვა. თავისი უთანხმოება პრემიერმა ციხის სკანდალური კადრების ავტორის ლადო ბედუკაძის გამო დააფიქსირა.

„ახალი თაობა“

ნახევრად ცარიელი პორტები და ახალ პორტზე მეოცნებე მთავრობა

ანაკლიის პორტი აღარ აშენდება, სუფსაში კი მშენებლობას შემოდგომისთვის შეუდგებიან. მეორე საკითხია — სჭირდება თუ არა ქვეყანას ახალი პორტები, როდესაც სრულად დატვირთული არც ერთი მათგანია. შემცირებულია ტვირთბრუნვა რკინიგზაში, რომელმაც ტვირთი საქართველოს პორტამდე უნდა მიიტანოს. ანაკლიაში პორტის მშენებლობა უვადოდ გადაიდო. ეკონომიკის მინისტრი აცხადებს, რომ პროექტის მიმართულებით ბევრი რამეა გასაანალიზებელი, მათ შორის, ტვირთბრუნვის საკითხები.

„რეზონანსი“

ჩვენი კარაბადინი

ტანსრულები უფრო დიდხანს ცოცხლობენ?

მსუძნები გამხდრებზე დიდხანს ცოცხლობენ, ასეთ არაჩვეულებრივ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი სპეციალისტები.

მათ დაადგინეს, რომ ტანსრულობა ხელს უწყობს არა სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირებას, არამედ მის გაზრდას. ამაზე მეტყველებს სტატისტიკის მონაცემები. საქმე ისაა, რომ სქელ ადამიანებს აქვთ ცხიმის მარაგი, რომელიც მოდის დასახმარებლად და ენერგიით ამარაგებს ორგანიზმს, როდესაც იგი ბერდება. ამას გარდა, ტანსრული ადამიანები ჩვეულებრივად უფრო ხშირად მიმართავენ ექიმებს და უფრო სწრაფად იწყებენ თერაპიის კურსს.

ფაქტს კომენტარს უკეთებს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, კვების ჰიგიენის სპეციალისტი ლუდმილა ვოლკოვა.

— მიაჩნიათ, რომ ზედმეტი წონის უქონლობა — კარგი ჯანმრთელობის საფუძველია, მაგრამ ადამიანს სხეულის მასის ინდექსით 20-ზე დაბლა (ეს მაჩვენებელი იანგარიშება, როგორც წონა კილოგრამებში, გაყოფილი სიმაღლეზე მეტრებში და აყვანილი კვადრატში) აქვს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, ფილტვების პათოლოგიებისა და ჰორმონალური დარღვევების არა ნაკლები, მეტიც კი რისკი, მათთან შედარებით, ვისაც მცირე ზედმეტი წონა აქვს, მაგრამ ზედმეტი წონა დიდი არ უნდა იყოს — თუ სხეულის მასის ინდექსი 35-ზე მეტია, ადრე გარდაცვალების რისკი რამდენჯერმე იზრდება.

რო მეტი მიდრეკილება ანტისოციალური ქცევისაკენ, ვიდრე მათ, ვისთანაც არ ეწევიან.

ეს მოვლენა განპირობებულია იმით, რომ 10 წლამდე ბავშვის ტვინი ჯერ ისევ ყალიბდება, ითვისებს სულ ახალ სოციალურ ფუნქციებს. პასიური მოწევა კი ტვინს ამარაგებს მავნე ნივთიერებებით და იწვევს ჟანგბადის შიმშილს. ორივე ეს ფაქტორი ნეგატიურ გავლენას ახდენს ტვინის მუშაობაზე სამომავლოდ.

კიბოს სუნით აღმოაჩენენ

შეიძმნა სპეციალური გადამცემი, რომელიც საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ კანის კიბო სუნით.

მეცნიერებს გადამცემის შექმნის იდეისკენ უბიძგა ადრე წარმოებულმა გამოკვლევამ, რომლის თანახმადაც ადამიანის კანი გამოყოფს სუნიან ორგანულ შენაერთებს. აღმოჩნდა, რომ კანის კიბოს უჯრედები გამოიმუშავებენ შენაერთებს, რომლებიც სუნით განსხვავდებიან ნივთიერებისაგან, კანის ჯანსაღი უჯრედები რომ გამოიმუშავებენ.

მოწევა აგრესიას იწვევს

პასიურად მწეველი ბავშვები იზრდებიან უფრო ბორტები და აგრესიულები, აგრეთვე, მათ აქვთ უფ-

შოკოლადი მამაკაცებისთვის

შოკოლადის ბატონს შეუძლია შეამციროს კაცობრიობის ძლიერი ნაწილის ინსულტის განვითარების რისკი, დარწმუნებული არიან შვედი მეცნიერები. გამოკვლევაში მონაწილეობას 37 ათასი მამაკაცი ღებულობდა, რომელთა ასაკიც მერყეობდა

49-დან 75 წლამდე. ზოგიერთი მათგანი ათი წლის განმავლობაში ყოველდღიურად მიირთმევდა ერთ ბატონ შოკოლადს, რის შედეგადაც ნაკლებად განიცდიდნენ ინსულტის რისკს, ვიდრე სხვა მოყვარულები. შოკოლადის ხანგრძლივ გავლენას შვედი მეცნიერები ხსნიან მასში ისეთი ნივთიერების შემცველობით, როგორიცაა ფლავონოიდები, რომლებიც იცავენ გულ-სისხლძარღვთა სისტემას სხვადასხვა დაავადებებისაგან.

ვახშამი წნევას მაღლა სწევს

იმ ადამიანებს, ვისაც გაზრდილი წნევა აწუხებს, ურჩევნიათ უარი თქვან ვახშამზე. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ მეცნიერები არგენტინიდან.

მათი დაკვირვების თანახმად, საღამოს ტრაპეზზე უარის მთქმელები თავს უკეთ გრძნობდნენ. გამოსაცდელებს წნევა დაბლა ეწეოდათ, აღარ აწუხებდათ შაკიკი. თუმცა, კვებაში შეზღუდვა განსაკუთრებულ გავლენას არ ახდენდა, თუ მოხალისეები ძილის წინ სვამდნენ წყალს.

როგორც გამოკვლევის მონაწილეები აღიარებდნენ, ყველაზე რთული მათთვის აღმოჩნდა შიმშილის გრძნობის შიშის დაძლევა. ისინი, ვინც მიჩვეულია დაძინებას მაძღარი კუჭით, იწყებენ პანიკას, როდესაც სთავაზობენ ჭამონ დაძინებამდე ორი საათით ადრე.

გამოკითხვა

რა სიხშირით გადიხართ სამედიცინო გამოკვლევას?

38 პროცენტი — მხოლოდ მაშინ, როდესაც თავს ცუდად ვგრძნობ

23 პროცენტი — აუცილებლად წელიწადში ერთხელ

14 პროცენტი — ერთხელ რამდენიმე წელიწადში

25 პროცენტი — საერთოდ არ დავდივარ ექიმებთან

სულ გამოკითხვაში მონაწილეობა 612 კაცმა მიიღო.

კადრი

ცინცხალი ანეკდოტები

სამი მამაკაცი კამათობს, რომელი მათგანის პროფესიაა უფრო ძველი.

— ჩვენი პროფესია ყველაზე ძველია. ჩვენ ჯერ კიდევ ეგვიპტის პირამიდებს ვაგებდით, — ამბობს მშენებელი.

— კარგი რა, თქვენი კი არა, ჩვენი პროფესიაა ყველაზე ძველი, — ამბობს მებაღე, — ჩვენი სპეციალისტები ჯერ კიდევ ედემის ბაღს ამშვენებდნენ.

— რაზე კამათობთ? — ერთვება საუბარში ელექტრიკოსი, — ჯერ კიდევ მანამ, სანამ ღმერთი იტყოდა — და იყავ ნათელი! — ჩვენს სპეციალისტს გაყვანილობა უკვე მზად ჰქონდა.

* * *

ზაფხულის პაპანაქებაა. ლუდის ჯიხურთან გრძელი რიგი დგას.

— ქალო, რად არ ავსებ კათხას ბოლომდე? — უკმაყოფილოდ უყვირის ვიღაც გამყიდველს.

— ბიჭებო, გესმით? — მიმართავს ქალი რიგში მდგომთ, — ამ ვირს არ უნდა, რომ თქვენ ლუდი შეგხვდეთ!

* * *

— იცით, ჩემო კარგო? — ეუბნება ექიმი ავადმყოფს, — როდესაც თქვენს ფლიუროგრაფიას ვათვალიერებდი, გამაოგნებელი შეცდომა აღმოვაჩინე...

— რაო, ექიმო, კიბო მაქვს???

— უარესი, ავადმყოფო, უარესი...

ავადმყოფი გონებას კარგავს, ექიმი კი განაგრძობს:

...თქვენ თურმე ცხოვრობთ იმ უბანში, რომელსაც ჩვენი პოლიკლინიკა არ ემსახურება.

* * *

პეტროვმა დაამხო სიდოროვის რეკორდი. სიდოროვი სპორტულმა ჟინმა აიტაცა და დაამხო... პეტროვი.

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა სარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

მ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24